



ახალი ტანათლექტ

№28 (622) გამომცემის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ახალი საკანონმდებლო ინიციატივა

გამოცდები შედეგები, პრობლემები, მიზეზები

დასრულდა 2013 წლის ერთიანი ეროვნული და პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდები, რომლებსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს. ისევე როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც გამოცდების შედეგებს აჯამებენ ცენტრის საბნობრივი ჯგუფების ხელმძღვანელები – ფიზიკის ჯგუფის ხელმძღვანელი გობი ჩეჩელაშვილი და ქიმიის ჯგუფის ხელმძღვანელი ბია ხატიასვილი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი აინა მიმინოშვილი:



არ მესმის, როგორ უნდა შევადაროთ, ნიჭიერების თვალსაზრისით, ახალგაზრდა, რომელმაც კონკრეტულ საერთაშორისო ოლიმპიადაზე გაიმარჯვა კონკრეტულ საბანში და ის ახალგაზრდა, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ოთხ საბანში აქვს უმაღლესი შეფასება. რატომ არის ის ნაკლებად ნიჭიერი და რატომ უნდა ართმევდეს მას ადგილს, ვინც კონკრეტულ საბანში იმარჯვებს?!

გვერდი 2

გვერდი 4 - 5

სკოლამდელი განათლება არამიწიდიველი რეალობა და პერსპექტივები



კვლევები ადასტურებს, თუ გავშვი სრულფასოვანია და აღრეულ ასაკში განვითარების უფრო მრავალფეროვანი გარემო აქვს, მეტ წარმატებას აღწევს ზრდასრულ ასაკში.

გვერდი 6-7

ახალური თემა

ახალი საკანონმდებლო ინიციატივა

პარლამენტში განიხილება გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდებთან დაკავშირებული კანონპროექტი, რომლის ინიციატორი ბანათელის, მაცნეიერისა და კულტურის კომიტეტია, იქნა კომიტეტის თავმჯდომარეს ივანე კილაშაძის აქტიურობის.

კანონპროექტის თანახმად ერთიან ეროვნულ გამოცდას არ ჩაბარებულ ახალგაზრდები, რომლებმაც ამა თუ იმ საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებას ან უმაღლესი შედეგსა დაიხსნა, სხვა სახელობის უმაღლესი სასწავლებლის შემოქმედებით ტურნირში. კანონს მიენიჭება უკუაქვია და უმაღლესი სასწავლებლებში სწავლის დაწყების საშუალება მიეცემა ბანათელის ინიციატორი ახალგაზრდებს, რომლებმაც 2013 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდაში ვერ დააგვიტოვეს ამა თუ იმ საბაზო მინიმალური კომპლექსის ზღვარი.

ცვლილებები შედის „უმაღლესი ბანათელის შესახებ კანონის“ 52-ე მუხლში.

კანონპროექტის მიხედვით, 52-ე მუხლის მესამე პუნქტს უნდა დაემატოს „დ“ და „ე“ შინაარსის ქვეპუნქტები:

დ) საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც გაიმარჯვეს საერთაშორისო ოლიმპიადებზე და სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამის გააკლავონ, დიპლომირებული მე-

დიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ე) საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ბათელის ინიციატორი სახელობის უმაღლესი სასწავლებელი უმაღლესი სასწავლებელი და სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ სახელობის უმაღლესი სასწავლებელი დაწესებულებაში.

კანონპროექტი წერია, რომ „ასეთი განსაკუთრებული ნიჭის მქონე პირები საჭიროებენ დახმარებას და თანდახმარებას სახელმწიფოს მხრიდან, რაც შესაბამისად უნდა აისახოს მოქმედ კანონმდებლობაში. 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდაების დასრულების შემდეგ კომიტეტში შემოვიდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის თხოვნა, რათა გამოეყოფილიყო საკანონმდებლო მქანეში, რომელიც უზრუნველყოფდა ამ პროგრამის გადართვას. აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გამოთქამდნენ მზადყოფნას ხელი შეეწყობა ამ ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანებისთვის“.

ბათელის უმაღლესი სასწავლებლის და გამოცდას ეროვნული ცენტრის დირექტორის ბაიბი მინიშვილის კომენტარს.

ჩვენთვის ეს ინიციატივა მოულოდნელი იყო. ბუნებრივია, კატეგორიული წინააღმდეგ ვარ. მიმართა, თუ ეს ცვლილება შევიდა კანონში, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად და სერიოზულად დაფიქრდეთ, საერთოდ გეჭირდება თუ არა ერთიანი ეროვნული გამოცდაები. ეს, ფაქტობრივად, სისტემის მიზანმიმართული დანგრევაა.

ორი კატეგორიის ახალგაზრდებზე ლაპარაკი - პირველი, ვინც საერთაშორისო ოლიმპიადებზე გაიმარჯვეს და მეორე, ვინც სახელმწიფო ფაკულტეტზე აპირებს სწავლის გაგრძელებას. პირველ კატეგორიას თუ შეეცხებით, საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული ძალიან ბუნდოვანი მცნება იმით, რომ მსოფლიოში უამრავი საერთაშორისო ოლიმპიადა არსებობს, ამიტომ ბევრი ისეთია, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მისი სანდოობა. უფრო მეტსაც გეტყვით, ძალიან მარტივია საერთაშორისო ოლიმპიადის ჩატარება და საქართველოშიც ბევრი საერთაშორისო ოლიმპიადა ტარდება. ალბათ ძნელი მისახვედრი არ არის რისკენ გვიბიძგებს ეს ინიციატივა - მომავალში საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოგვევლინება.

თუნდაც ერთი საერთაშორისო ოლიმპიადა რომ არსებობდეს მსოფლიოში ერთ კონკრეტულ საგანში, მაინც არ მესმის, როგორ უნდა შევადაროთ, ნიჭიერების თვალსაზრისით, ახალგაზრდა, რომელმაც კონკრეტულ საერთაშორისო ოლიმპიადებზე გაიმარჯვა კონკრეტული საგანში და ის ახალგაზრდა, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ოთხ საგანში აქვს უმაღლესი შედეგები. რატომ არის ის ნაკლებად ნიჭიერი და რატომ უნდა ართმევდეს მას ადგილს, ვინც კონკრეტულ საგანში იმარჯვებს? გაუგებარია ისიც, თუ სად შეიძლება გააგრძელოს სწავლა ამ ახალგაზრდამ. მაგალითად, ფიზიკის ოლიმპიადებში გამარჯვებული ფიზიკის სპეციალობაზე არ ირიცხება, ის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება, რომელზეც უამრავი სპეციალობაა. მაგალითად, გეოგრაფიკა შედის და ვერაინ აუკრძალავს სტუდენტს მას, რომ სწავლა არა ფიზიკის, არამედ გეოგრაფიის სპეციალობით გააგრძელოს. ამ შემთხვევაში, რა კავშირი აქვს ფიზიკის ოლიმპიადებში გამარჯვებას ამ ყველაფერთან?!

ნამდვილად მისასაღებელია, როდესაც ახალგაზრდა საერთაშორისო ოლიმპიადებზე იმარჯვებს, წლების განმავლობაში ჩვენი ახალგაზრდები მონაწილეობენ ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებში, მაგრამ, მაგალითად, შანსიც არ აქვთ, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიადებში. ჩვენ ყველა საგანში ვატარებთ ეროვნულ ოლიმპიადებს და ვინც ჩვენს ჟურნალს გადახედავს, იქ არის ქართული ენისა და ლიტერატურის ოლიმპიადებზე გამარჯვებული ნაწარმოებები. ნურავინ იტყვის, რომ ეს ბავშვები არ არიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული. მათ რა დააშავებს? და, რაც ყველაზე მთავარია, ვერაინ მეტყვის იმას, რომ, მაგალითად, ჭადრაკის ოლიმპიადებზე გამარჯვებული ნაკლებად ნიჭიერია, ვიდრე ფიზიკის ოლიმპიადებზე გამარჯვებული. რატომ მათაც არ უნდა გავუნიოთ ანალოგიური შედეგით?

რა დააშავებს სპორტსმენებმა, ოლიმპიელებმა - ნაკლებად ნიჭიერები არიან თუ ნაკლებად დატვირთული გრაფიკი აქვთ? რა დააშავებს მოცეკვეთებმა და ა.შ. ბუნებრივია, გამონაკლისი შემდეგ მთლიან სისტემის დანგრევა იწვევს. სანამ, მაგალითად, გაცივების სისტემა თავზე დაგვემხოვა, მოდით საერთოდ უარი ვთქვათ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე და არც ეს არის ტრაგედია, თუ არ გვჭირდება.

აქ მე ძალიან დიდ უსამართლობას ვხედავ აბიტურიენტების მისამართით - 40 000-მდე აბიტურიენტი მონაწილეობს კონკურსში, სადაც ადგილებს კონკრეტული რაოდენობაა, მე მათ უნდა ვუთხრა, რომ ამ ადგილების გარკვეული ნაწილი განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისთვის არის და თქვენ საკონკურსოდ ნაკლები ადგილები დაგრჩებათ. ეს სამართლიანია?

ახლა, რაც შეეხება სახელოვნებო ფაკულტეტებს. წლების განმავლობაში ვიყავით ინიციატორები კანონში ცვლილების შეტანისას სწორედ სახელოვნებო ფაკულტეტებთან დაკავშირებით. რეალობა ასეთია: ამ ფაკულტეტებზე ახალგაზრდები შემოქმედებითი ტურების შედეგების საფუძველზე ირიცხებიან, ერთიან ეროვნულ გამოცდაში მხოლოდ და მხოლოდ ჩათვისის პრინციპით მონაწილე-

ბენ - სავალდებულო საგნებში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი უნდა გადალახონ. ისინი ფინანსდებიან კულტურის სამინისტროდან, ანუ უფასოდ სწავლობენ. მაგრამ, რადგან ერთიან ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობენ, აქედანაც აქვთ შესაძლებლობა, წაიღონ სახელმწიფო გრანტი. ამგვარად, ამ სტუდენტების ორმაგი დაფინანსება ხდება, რაც აბსოლუტურად უსამართლოა. სახელმწიფო გრანტს თვითონ სტუდენტი ვერ მოიხმარს, ის რჩება უმაღლესი სასწავლებელს, მიუხედავად იმისა, რომ ის სტუდენტი უფასოდ სწავლობს, კულტურის სამინისტროს ხარჯზე. სამაგიეროდ, ეს სახელმწიფო გრანტი შეიძლება განაწილებულიყო სხვა კონკურსანტებზე, ვისაც სწავლის საფასურის გადახდა უნებო.

ჩვენი ინიციატივა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ახალგაზრდები, ვინც შემოქმედებითი ტურების საფუძველზე ირიცხებიან, გაგვეყვანა ამ სისტემიდან და ჩარიცხულიყვნენ მხოლოდ შემოქმედებითი ტურების საფუძველზე, იმ კრიტერიუმებით, რასაც თვითონ უმაღლესი სასწავლებელი დაადგენს, შესაბამისად, დაფინანსდეს კულტურის სამინისტროს მიერ, როგორც ახლა ფინანსდება. სამწუხაროდ, ვერანაირ შედეგს ვერ მივაღწიეთ იმიტომ, რომ თვითონ უმაღლესი სასწავლებლები იყვნენ ამის წინააღმდეგი და დღემდე წინააღმდეგი არიან, რომ ეს ახალგაზრდები ამ სისტემიდან გავიყვანოთ.

ეს ცვლილება რას გვთავაზობს? ვინც შემოქმედებითი ტურებში მიიღო უმაღლესი შედეგები, ჩარიცხოს და დაფინანსდეს განათლების სამინისტროს მხრიდან. ალბათ დამეთანხმებით, რომ ამაში არანაირი ლოგიკა არ არის. ძალიან მაინტერესებს, რას ნიშნავს უმაღლესი შედეგები შემოქმედებითი ტურში? ჩვენ ასეთი 8 უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს, სადაც აბიტურიენტები, შემოქმედებითი ტურების საფუძველზე, კონკრეტულ ფაკულტეტზე ირიცხებიან. მაგალითად, გვაქვს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, ქუთაისის კონსერვატორია და ბათუმის კონსერვატორია, მაგრამ სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია არ ცნობს იმათ შედეგებს, რა ვუყობთ იმ ახალგაზრდებს, ვინც უმაღლესი შედეგებს მიიღებს ქუთაისის კონსერვატორიაში, ვუთხრათ, რადგან ქუთაისში აბარებ,

ნაკლებად ნიჭიერი ხარ?

ეს სრულიად მოუზადებელი ინიციატივაა. თუ კომიტეტის თავმჯდომარეს აინტერესებდა თუნდაც სტატისტიკა ოლიმპიელებთან დაკავშირებით - შექმნიდა თუ არა ოდესმე პრობლემა საერთაშორისო ოლიმპიადებზე გამარჯვებულ ახალგაზრდას ერთიან ეროვნულ გამოცდაზე - რომ ეკითხათ, მივცემდით სტატისტიკურ მონაცემებს და ნახავდნენ, რომ ასეთი სტუდენტების რაოდენობა არის ნული და, უბრალოდ, არაფრის გამო ხდება ასეთი დაშვებების გაკეთება. მით უმეტეს, სრულიად გაუგებარია ჩემთვის, რას ნიშნავს უკუძალა. განმარტებით ბარათში წერია, რომ ეს ეხება 17 ახალგაზრდას, ვისაც მსგავსი პრობლემა შეექმნა. კომიტეტის თავმჯდომარემ მათი გვარებიც კი დასახელა. რას ნიშნავს ცვლილების კონკრეტულ ადამიანებზე მორგება?

ისევ გავიმეორებ, სამემსრულებლოს რაც ეხება, უფრო კარგად შეიძლება ამის მოგვარება. ის რომ განხორციელებულიყო, რასაც ჩვენ ამდენი ხნის განმავლობაში ვამბობდით, ნამდვილად უშველიდა საქმეს. რეალურად ჩვენ ხომ ისედაც ვერ ვაკონტროლებთ ესა თუ ის აბიტურიენტი ნამდვილად კარგად მღერის თუ ცეკვავს. შემოქმედებითი ტურები თვითონ უმაღლესი სასწავლებლებში ტარდება და სამართლიანი იქნება ამ ტურების შედეგების საფუძველზე ჩარიცხონ სტუდენტები. მაგრამ განათლების სამინისტროსგან თანხას ნუ თხოვენ, უკულტურის სამინისტროს ფულიც ხომ სახელმწიფო ფულია და გამოდის, რომ სტუდენტი ორმაგად ფინანსდება. რატომ? ეს ფული შეიძლება სხვა სტუდენტს გამოეყუთო და დაეფუაროთ სწავლის საფასურს.

ჩვენ კანონპროექტი არ მიგვიღია, ჟურნალისტების ხელში კი აღმოჩნდა. როდესაც ერთ-ერთი ჟურნალისტი დამიკავშირდა და შეკითხვა დამისვა, საქმის კურსში არ ვიყავი და მან წამიკითხა. მერე მე თვითონაც გავცანი სოციალურ ქსელში. არ მეგონა, ასე ფორსირებულად თუ მოხდებოდა ცვლილების ინიცირება.

ესაუბრა ლალი თვალაბაიშვილი

ინფორმაცია

„სტუდენტები ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად“

საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის პროექტი „სტუდენტები ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან დაიწყო. აქციაში „გაიღე სისხლი, გადაარჩინე ბავშვის სიცოცხლე“ სხვადასხვა უნივერსიტეტის ასობით სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

„საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის პროექტის „ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად“ ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი განხორციელდა სისხლის უანგარო დონაცია. აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა დონორთა უპრეცედენტო რაოდენობა, რისთვისაც მადლობას ვუხდით თითოეულ მონაწილეს. ასევე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მსგავსი აქცია, პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა უნივერსიტეტში დაიგეგმება. ამიტომ მოვუწოდებ სტუდენტებს, რომ გაი-

ღონ სისხლი და გადაარჩინონ ბავშვების სიცოცხლე.“ - განაცხადა საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის პრეზიდენტმა ნოდარ თათვიძემ.

„ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგას იმისთვის, რომ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს ეხმარებინ. საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის თაოსნობით, 2013 წელს, უკვე მესამედ იმართება მსგავსი აქცია და იმედია, სისტემატურ სახეს მიიღებს. კარგი იქნება, თუ სხვადასხვა უნივერსიტეტში ჩატარდება ასეთი ღონისძიება და მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება. მინდა აღვნიშნო, მსგავსი პროექტების განხორციელება სისტემატურად ხორციელდება, ეს აქცია იმით გამოირჩევა, რომ დღეს სისხლის უანგარო დონაციის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა.“ - განაცხადა იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკის მენეჯერმა თათია ვაჭრიძემ.





Peace Corps

მშვიდობის კორპუსი

Since 1961.

ა.შ.შ.-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში ინვესტორების მოტივირებას სწავლობს და მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის.

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები ცავეტი წელიწადი წარმატებით ასწავლიან განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსი შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისურ ენის მასწავლებლებთან იმუშავებენ 2014-2016 სასწავლო წლების განმავლობაში, ინგლისური ენის სწავლების დონისა და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსი მონაწილეობა შეუძლიათ სწავრო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი** (ბარდა გორის ჩრდილოეთით მდებარე სოფლები-სა), **სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო** (აბაშის, სენაკის, მარტვილის და ხოვის მუნიციპალიტეტები), **რაჭა-ლეჩხუმი**.

თუ თქვენი სკოლა არის ზამთრულ წლებში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადამხდენს 26 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2014-2016 აკადემიურ წლებში, გაეცანით საინფორმაციო დანართს და დაიტოვეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე), მასპინძელი ოჯახის განაცხადები (ქართულ ენაზე) და ფორმები მოგვანდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში მისამართზე – ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ა, თბილისი, 0160 ან გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე – education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა 21 ოქტომბერი, 2013 წელი.

დაგატვირთი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელს: ასგათ სინარულიძეს (აღმოსავლეთი) ან თეო ნაჭარიძეს (დასავლეთი) ტელეფონი: (0 32) 224 12 24; ფაქსი: (032) 239 91 06

სკოლის ღირებურობის საყურადღებოდ!

გამოცემულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით შექმნილი საგნობრივი კითხვების გეგმის პროტოკოლი

შექმნა შესაძლებელია ნიგნის გალაზიანი მისამართი: **ს. დადიანის N43**
საკონტაქტო ტელეფონი: **579 45 50 47**

ინფორმაცია

პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მესამე ნაკადის 114 მონაწილეს სერტიფიკატები გადაეცა. მოხალისე პედაგოგები, ორი აკადემიური სემესტრის განმავლობაში, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში მოღვაწეობდნენ და წარმატებით დაასრულეს პროგრამა.

პროგრამას „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს. პროექტი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაზე ორიენტირებული და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში ქართულენოვანი პედაგოგების წარგზავნაა.

პროგრამის მონაწილე მოხალისე მასწავლებლები ადგილობრივ ოჯახებში ცხოვრობენ და ქართულის გაკვეთილებთან ერთად, მოსწავლეები ჩართული ჰყავთ არაფორმალურ განათლებაშიც, შექმნილი აქვთ კლუბები,

ხოლო ოჯახში თანაცხოვრების დროს ოჯახის წევრებს ქართული ენის შესწავლაში ეხმარებიან.

პროგრამაში მონაწილეობა ბაკალავრის ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს შეუძლია, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენაა. არაქართულენოვან სკოლაში ერთი აკადემიური წლის მუშაობის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს, 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით აფინანსებს. ამავდროულად, მონაწილეებს პროგრამაში ჩართვა პედაგოგად მუშაობის სტაჟში ეთვლება, შესაბამისად, საშუალება აქვთ, სკოლაში მუშაობა მასწავლებლებად განაგრძონ და სერტიფიცირების გამოცდა ჩააბარონ.

ამ ეტაპზე, პროგრამის ფარგლებში, გამოცხადებულია რიგით მე-6 შესარჩევი კონკურსი. შერჩეული მონაწილეები იცხოვრებენ ადგილობრივ ოჯახებში და, მინიმუმ, ორი სასწავლო სემესტრის განმავლობაში არაქართულენოვან საჯარო სკოლებში იმუშავენ.



გთავაზობთ ტესტების კრებულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საათისტატო გამოცდის მოთხოვნებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგის საბუნებისმეტყველო გამოცდისათვის

საბუნებისმეტყველო გამოცდისათვის

საბუნებისმეტყველო გამოცდისათვის

პრობლემატიკური კითხვების კრებული

ნიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
ნიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
ნიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

◆ კრებულში ნახვით თითქმის ყველა საგნობრივ კითხვა-პასუხს საბამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

◆ გათი მუშაობით გაგიაღვიწღებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

◆ სწორი პასუხების შემთხვევის შემთხვევაში თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

◆ თქვენ შექვებთ დაქლიოთ ყველა საბამოცდო სირთულე.

კრებულის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

გამოსვლები – შედეგები, პრობლემები, მიზეზები



გვესაუბრება შვანსაბისა და გამოსვლების პროფესორი ცენტრის ფიზიკის ჯგუფის ხელმძღვანელი გომი ჩიჩელაშვილი

– როგორი იყო ფიზიკის გამოცდის შედეგები?

– ნელს ფიზიკის გამოცდის შედეგებზე ვერ ვიტყვი, რომ ცუდი იყო. მართალია, აბიტურიენტთა დაახლოებით 50% ჩაიჭრა, მაგრამ ბევრმა წარმატებით ჩააბარა; ამის მიზეზი კი ის არის, რომ ნელს, ისევე როგორც შარშან, ბევრმა შემოიტანა განაცხადი: აბიტურიენტებმა იცოდნენ, რომ ძალიან დიდი პრივილეგია ექნებოდათ – მომავალში, თუ ფიზიკის გამოცდის ბარიერს გადალახავდნენ, 4 წლის განმავლობაში ყველა მიიღებდა სწავლის სრულ დაფინანსებას. ამან განაპირობა აბიტურიენტთა ის რაოდენობა, ვინც ფიზიკა აირჩია; სტიმული მიეცათ აბიტურიენტებს და იმათაც კი, ვინც არ იყო დარწმუნებული არჩევანში ან არც აპირებდა ფიზიკის ჩაბარებას, მაინც მიიღეს მონაწილეობა, ზოგამდე ყოველი შემთხვევისთვის სცადა ბედი. მართალია, აქედან ნახევარი ჩაიჭრა, მაგრამ 265-მა აბიტურიენტმა გადალახა ბარიერი. შარშანაც დაახლოებით იგივე შედეგი იყო, შარშანდინ გაცილებით ნაკლებმა მოახერხა ეს, იმის წინ – კიდევ უფრო ნაკლებმა.

| წელი | სულ გამოვიდა | გადალახა | ვერ გადალახა | ვერ გადალახა |
|------|--------------|----------|--------------|--------------|
| 2010 | 81 | 35 | 46 | 56.79% |
| 2011 | 350 | 225 | 125 | 35.71% |
| 2012 | 594 | 279 | 315 | 53.03% |
| 2013 | 512 | 265 | 247 | 48.24% |

გვეყავს მაქსიმალურქულიანი აბიტურიენტი – 75-დან 75-ივე აიღო, სამია 74-ქულიანი, მაგრამ მერე არის ჩავარდნა. მაღალქულიანი მოსწავლეები, ტრადიციულად, თბილისისა და ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლებიდან არიან. ოლიმპიადებზეც ამ სამი სკოლის აღსაზრდელებმა გვასახელეს. ამ სკოლების მოსწავლეებს საერთაშორისო ოლიმპიადებზეც კარგი შედეგები აქვთ. სხვა სკოლების მოსწავლეები, პრაქტიკულად, სასკოლო ოლიმპიადებზე ვერ იმარჯვებენ.

კიდევ შემიძლია გითხრათ, რომ, როგორც ადრე თქვენთვის მოცემულ ინტერვიუებში არაერთხელ მითქვამს, საატესტატო გამოცდები ძალიან კარგ შედეგს გამოიღებდა (ეს ორი წლით ადრე ვთქვი, ვიდრე საატესტატო გამოცდები დაიწყებოდა და გამართლდა კიდევ). წარმოიდგინეთ, რომ საატესტატო გამოცდის შემოღებამდე ფიზიკა, როგორც არასავალდებულო საგანი, მთელ საქართველოში, 40 000-დან 81-მა აბიტურიენტმა აირჩია და აქედან 57% ჩაიჭრა. შემდეგ ნელს, როდესაც უკვე გამოსაშვები გამოცდები შემოვიდა, ეტყობა, ბავშვებმა იძულების წესით აიღეს ფიზიკის წიგნი ხელში და, შესაბამისად, ფიზიკის ჩაბარების მსურველი გახდა უკვე 350; შემდეგ ნელს – 594, ნელს 512 იყო (გამოსაშვები გამოცდები არაცენტრალიზებულად ჩატარდა). თუმცა, როგორც გითხარით, 512-დან თითქმის ნახევარი ჩაიჭრა, საბოლოოდ, 265-მა გადალახა. ასე რომ, სურათი შეიცვალა – თუ ადრე ფიზიკის გაკვეთილები ფორმალურად ტარდებოდა ან საერთოდ არ ტარდებოდა, დღეს გაიზარდა იმ აბიტურიენტთა რაოდენობა, ვინც ფიზიკას აბარებს და, შესაბამისად, სკოლაში სწავლობს ამ საგანს.

– აბიტურიენტთა რაოდენობის ზრდა, ვინც ფიზიკის გამოცდის ჩაბარების სურველი გამოთქვა, ალბათ, ნელს ამ მიმართულების სრულმა დაფინანსებამაც განაპირობა?

– რა თქმა უნდა, სრული დაფინანსების ბევრმა მსურველმა, იმის მიუხედავად იცის თუ არა ფიზიკა, სცადა ბედი და ჩაჭრილების დიდ პროცენტსაც სწორედ ამით ვხსნი. მათ გარისკეს და „გავიფიქსეს“ პროცენტი.

– ასე რომ, გამოსაშვები გამოცდების ეფექტი სახეზეა – როგორ იმატა ფიზიკის ჩაბარებულთა რაოდენობამ. ამას დაფინანსების ეფექტიც დაემატა და იმედი მაქვს, მომავალში, მსურველთა რაოდენობა კიდევ მოიმატებს.

– არასახარბიელო იყო პედაგოგთა შედეგები ფიზიკაში...

– რაც შეეხება პედაგოგებს, აქ ძალიან მძიმე სურათი დაიხატა ნელს. შარშან იყო გამონაკლისი – 20%-მა გადალახა ბარიერი, შარშანდინ ნაკლებმა – 8%-მა, ნელს – 4%-მა. ამის მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ ვინც ჩაბარებული იყო, ორი წლის მანძილზე უკვე ჩააბარა გამოცდა.

– მაგრამ ეს ხომ ის პედაგოგები იყვნენ, ვინც ნებაყოფლობით მიიღო გადაწყვეტილება ჩაბარებინა ფიზიკის გამოცდა და წლის განმავლობაში ამისთვის ემზადებოდა...

– ეს ის კონტინგენტი, რომელიც მესამე წელის აბარებს გამოცდას. საუკეთესომ პირველივე ნელს, შარშანდინ, ჩააბარა, შარშან კიდევ ჩააბარეს და ვინც დარჩა, იმათგან სულ უფრო ნაკლები და ნაკლები ჩააბარებს, თუ არ მოხდა მათი სერიოზული გადაზიდვა, თუ არ ჩაუტარდათ კარგი და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ტრენინგები და არა ისეთი ხანმოკლე, როგორც აქამდე ტარდებოდა. ეს არის ძირითადი მიზეზი.

– ერთი წელი დარჩა ნებაყოფლობითი გამოცდების, შემდეგ სერტიფიცირება სავალდებულო ხდება...

– დღეს მოქმედი კანონმდებლობით ასეა, მაგრამ სამინისტროში განიხილება პროექტი, რომლის მიხედვითაც ამის ანულირება მოხდება. სერტიფიცირება სავალდებულო აღარ იქნება, ჩაუბარებლობის გამო არავინ გაუშვებს მასწავლებელს და ძირითადი ყურადღება გადატანილი იქნება პედაგოგთა კორპუსის ტრენინგზე. გარდა ამისა, როგორც ჩანს, სერტიფიცირების ფორმატიც შეიცვლება: თუ ახლა ტარდება ორ გამოცდად – პროფესიულ უნარებსა და სპეციალობაში, ჩვენ შემთხვევაში – ფიზიკაში, დაემატება მესამე – გამოცდა პრაქტიკულ ნაწილში. ამის გამოცდილება ჩვენს ცენტრს ჯერჯერობით არ აქვს, მაგრამ ალბათ მოვიწვევთ პროფესიონალ კონსულტანტებს, რომლებიც გაგვიზიარებენ გამოცდილებას, ჩავიტარებენ ტრენინგებს, თუ როგორ, რა კრიტერიუმებით შევამოწმოთ ეფექტურად პედაგოგები გაკვეთილებზე, უშუალოდ სწავლების პროცესში.

– უფრო მეტად ფიზიკის რა ნაწილი გაუჭირდათ პედაგოგებს?

– ასე გამოკვეთილად თქმა ძნელია, მაგრამ მინიმალური ქულები მიიღეს სასკოლო პროგრამის მიღმა საკითხებში, რომლებიც მოითხოვდა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის ცოდნას. თუმცა, ძალიან მარტივი დავალებები იყო, შეიძლება ითქვას უმარტივესიც კი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტად ეს გაუჭირდათ. თუმცა, ასეთი დავალებების წვლილი მთელ ტესტში სულ 7% იყო. ეს პრაქტიკულად ვერაფერს ვერ გააკეთა, მაგრამ ამგვარი საკითხების არშეგანა პედაგოგებისთვის განკუთვნილ ფიზიკის საგამოცდო დავალებებში არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვა, რომ წარჩინებულ მეთორმეტეკლასელებს უკვე შეუძლია, ასწავლოს ფიზიკა სკოლაში. პედაგოგმა მოსწავლეზე ოდნავ, თუ ბევრად არა, მეტი მანიც უნდა იცოდეს. ეს ოდნავ მეტი მოიცავს სწორედ ამ საკითხებს. იგულისხმება, რომ პედაგოგს დამთავრებული აქვს ფიზიკის ფაკულტეტი, სადაც პირველივე კურსიდან ისწავლება დიფერენცირებული და ინტეგრალური აღრიცხვა.

– საპროგრამო ნაწილში როგორი სურათი იყო?

– საპროგრამო ნაწილშიც, როგორც ხედავთ, სუსტი შედეგებია. სულ რომ არ ყოფილიყო არასაპროგრამო ნაწილი, სურათი ბევრად არ შეიცვლებოდა.

– წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ტესტების სირთულეც დასახელდა – თითქოს ნელს უფრო რთული ტესტები იყო. იყო ეს ტესტები განსხვავებული წინა წლებისგან?

– შარშანდელ და შარშანდინდელ ტესტთან შედარებით შეიძლება ითქვას, რომ წლებგანდელი ტესტი უფრო მარტივიც კი იყო. სამწუხაროდ, ამან რადიკალურად არ შეიცვალა სურათი.

ჩვენ მაქსიმალურად ვუნწყობთ ხელს პედა-

გოგებს გამოცდისთვის მზადებაში – ვაქვეყნებთ წინა წლების დავალებებს, გარდა ამისა კრებულებს, სადაც სავარჯიშო დავალებები შედის. წინა სამი წლის გამოცდის დავალებები იყო გამოქვეყნებული და, აქედან გამომდინარე, აპლიკანტებს ალბათ უნდა სცოდნოდათ ამ ტესტის ფორმატი, დავალების სირთულე და ა.შ. წლებგანდელი ბევრი დავალება წინა წლების დავალებების ანალოგიური იყო, ძველ დავალებებზე რომ ემუშავათ, დარწმუნებული ვარ, ახალი საგამოცდო დავალებების გაკეთებას შეძლებდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი სავალალო გვაქვს.

წინა წლებში გვეყავა მაქსიმალურქულიანები, ნელს ასეთი აღარ არის. მიზეზი არის ის, რაც ზემოთ უკვე ვთქვი, საუკეთესობმა უკვე წინა წლებში გადალახეს ბარიერი.

– წლებგანდელი წარუმატებელი გამოცდის შემდეგ, მომავალი წლისთვის კიდევ უფრო ხომ არ გამარტივდება ტესტები?

– ტესტების უფრო გამარტივება არ შეიძლება. ეს ის მინიმალური სტანდარტია, რაც პედაგოგმა უნდა იცოდეს, მით უმეტეს სერტიფიცირებულმა პედაგოგმა. ამით, რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობთ, რომ ვინმეს პედაგოგობის უფლება ჩამოერთვას, მაგრამ მასწავლებელი სერტიფიკატის ღირსი უნდა იყოს.

– და მაინც, თქვენი აზრით, რა არის ამ წარუმატებლობის მიზეზი?

– მიზეზებზე თუ ვისაუბრებთ, ბევრმა პედაგოგმა გითხრა, რომ ბოლო 7-8 წლის განმავლობაში განიცადეს დეკალიფიკაცია. ეროვნული სასწავლო გეგმა ისე იყო შედგენილი, რომ პრაქტიკულად არ მოითხოვდა ფიზიკის ცოდნას. იყო უფრო მეტად ლაბარაკი ფიზიკის შესახებ და არა თეორიონ ფიზიკა. ფიზიკაზე ლაბარაკით ამოცანას ვერ გააკეთებ. გამოცდაზე ამოცანების ამოხსნის ცოდნა საჭირო და არა რაღაც შეხედულებები, ზოგადი საუბარი ენერგიაზე, უსაფრთხოების წესებზე და ა.შ.

მომავალშიც ფიზიკის პედაგოგთა გამოცდა იქნება არა მარტო თეორიამ, არამედ ექსპერიმენტულ ნაწილშიც. ეს შეიძლება იმის სტიმული გახდეს, რომ პედაგოგებმა გაკვეთილებზე ექსპერიმენტები ჩაატარონ. მით უმეტეს, რომ შესაბამისი აღჭურვილობა სკოლების 20%-ში უკვე არის და სხვა სკოლებშიც გაგრძელდება პროცესი.

– მალე გამოსაშვები გამოცდები დაიწყება...

– რაც შეეხება გამოსაშვებ გამოცდებს, ოთხ საგანში – ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია – ჩატარდება ახლა. ეს „პრივილეგირებული საგნებია“, რადგან მათი ჩაბარების საშუალება მოსწავლეს ორჯერ ექნება – ვინც ოქტომბერში ვერ ჩააბარებს, შეეძლება შემდგომ, გაზაფხულზე ჩააბაროს. ასე იქნება მანამ, სანამ ამ საგნების სწავლება მე-11 კლასში დასრულდება. მეორე ცდის საშუალება მოსწავლეებს არ ექნებათ მათემატიკაში, ქართულში, ისტორიასა და უცხო ენებში.



გვესაუბრება შვანსაბისა და გამოსვლების პროფესორი ცენტრის ფიზიკის ჯგუფის ხელმძღვანელი გიან სანტისაშვილი

– ნელს ეროვნულ გამოცდებზე სიახლე იყო – 17 მიმართულებაზე

სწავლა სახელმწიფომ სრულად დააფინანსა. ამ მიმართულებებს შორის ქიმიაც იყო. იქონია თუ არა გავლენა ამ სიახლემ აბიტურიენტების არჩევანზე?

– ნელს ქიმიაში ყველაზე დიდი „მოსავალი“ გვექონდა – 1550 აბიტურიენტი გამოვიდა გამოცდაზე. წინა წლების დინამიკა ასეთი იყო – თავიდან 400 ბავშვამდე იყო, მერე 900, 1400 და 1500-მდე ავიდა. რაოდენობა ნელ-ნელა იზრდება, მაგრამ შარშანდელ ნელს თუ შევადარებთ, ეს რაოდენობა ხარისხში არ გადაზრდოდა, რადგან დაახლოებით ერთი და იმავე რაოდენობის აბიტურიენტმა ჩააბარა 2012-ში და 2013-ში.

გამოცდა საშუალო სირთულის იყო. ვცდილობთ, ტესტის ფორმატი არ შეეცვალოს. უმნიშვნელო სიახლეები შეგვაქვს ხოლმე, რომ ბავშვებს გამოცდაზე მოულოდნელი სიურპრიზი არ დახვდეთ, რომელიც დააბნევთ. დავალებების ტიპები ყოველთვის ერთნაირია. ყოველ-

ლიურად ვაქვეყნებთ კრებულებს, სადაც სრულად არის ასახული საგამოცდო ტესტი და როდესაც აბიტურიენტები ამ ტესტზე ვარჯიშობენ, დაახლოებით იგივე სიტუაცია ხდებათ გამოცდაზე – მაგალითად, შეხვედებით ამოცანები, სადაც გამოთვლაა საჭირო, ან გარდაქმნის სქემები, დასაწერი იქნება ქიმიური რეაქციები და ფორმულები, რასაც ქიმიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საგამოცდო ტესტი შედგება დახურული ტიპის დავალებებისგან, სადაც პასუხი შემოსახაზია, ასარჩევია ოთხიდან ერთი. ასეთი 30 დავალებაა და, შესაბამისად, აბიტურიენტს 30 ქული აქვს შეუძლია. დანარჩენი 45 ქულა, ანუ ნახევარზე მეტი, ღია ტიპის დავალებებია, რომლებშიც აბიტურიენტმა ფორმულებით და რეაქციებით უნდა დაამტკიცოს, რომ ქიმია იცის. ეს ნაწილი უფრო უჭირთ ხოლმე, ამიტომ ვურჩევთ, რომ მეტი ივარჯიშონ რეაქციების წერაში, ფორმულების

შედეგნაში. ამას მექანიკურად ვერ დაიმახსოვრებენ, საპროფონო დავალებებია. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აბიტურიენტებს სწორედ მეორე ნაწილში გაუჭირდათ. განსაკუთრებით უძნელდებათ ხოლმე ისეთი დავალებები, სადაც გრაფიკა ნასაკითხი, ინფორმაცია გრაფიკიდან არის ასახული. სხვათა შორის, ასეთი ტიპის დავალებები მასწავლებლებსაც უჭირთ.

ნელს შეიცვალა სახელმძღვანელოები და ეროვნული სასწავლო გეგმის ქიმის ნაწილი (ადრე თუ ქიმის სწავლას მე-12 კლასში ამთავრებდნენ, ახლა მე-11-ში ამთავრებენ). ამ პროგრამული ცვლილების გამო, მეთორმეტეკლასელები ვეღარ ასწრებდნენ ქიმის სრული კურსის სწავლას, ამიტომ პროგრამა ცოტა შეკვეცილი იყო. ერთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულებს ძალიან ბევრი სხვადასხვა თემის შესწავლა მოუწიათ და შესაძლებელია ამანაც განაპირობა შედარებით დაბალი შედეგის მიღება.

2011-ში – 19%, 2012-ში – 25% და ნელს – 29%. წინა წლებში მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო. საერთოდ ქიმია ფიზიკის შემდეგ ყველაზე ძნელ საგნად ითვლება.

მას შემდეგ, რაც საატესტატო გამოცდები შემოიღეს, ქიმის ჩაბარებულთა რაოდენობაც გაიზარდა და, ასე თუ ისე, მოსწრებაც.

2014 წელს საგამოცდო პროგრამა ისევ ძველ სახეს დაუბრუნდება, აღარ იქნება შეკვეცილი. პროგრამაში უმნიშვნელო ცვლილებებია შესული, კერძოდ, ყურადღებას ვამახვილებთ ნივთიერებების პრაქტიკულ გამოყენებაზე. თვითონ პროგრამა ეროვნულ სასწავლო გეგმას ეყრდნობა.

ნელს პირველად დაფიქსირდა ქიმიაში უმაღლესი ქულა – 75, თან 5-მა აბიტურიენტმა მიიღო. 70-დან 75 ქულამდე საკმაოდ ბევრმა აბიტურიენტმა მიიღო: 74 ქულა – 3-მა, 73 – 7-მა, 72 – 8-მ, 71 – 8-მ, 70 – 11-მა. ეს, ძირითადად, აბიტურიენტების ის ჯგუფია, ვინც ოლიმპიადებზე

გამოდირდა. ეს ის გამოცემაა, ვინც პირველ ეროვნულ ოლიმპიადაზე მონაწილეთა შორის ყველაზე დაბალ კლასებში იყვნენ. სასწავლო ოლიმპიადა 2009 წლიდან ტარდება და მათ ყველა ოლიმპიადამი აქვე მონაწილეობა მიღებული, საკმაოდ გამოცდილები არიან.

– ნელს პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების წარუმატებლობამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრი არასასარბილო შედეგს ტესტების სირთულეს აბრალებდა. თქვენ როგორ შეაფასებდით ქიმიის გამოცდის შედეგს...

პედაგოგთა გამოცდაზე ვცდილობთ, წლიდან წლამდე, ტესტების სირთულე ერთი და იგივე იყოს. ეროვნული გამოცდების შემთხვევაში სირთულე პოპულარიაზე, თვითონ აბიტურიენტების ცოდნაზეა მორგებული, პედაგოგებთან ერთი თამასა უნდა იყოს გადებული იმიტომ, რომ მას, ვინც წინა წელს უფრო ძნელი გამოცდა ჩააბარა, უსამართლობის განცდა არ გაუჩნდეს. ესეც გასათვალისწინებელია.

წელს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში, თითქოსდა, ტესტების სირთულემ. არანაირი განსაკუთრებული სირთულე არ ყოფილა. ყოველთვის ვცდილობთ ღია დისკუსიაში შევიდეთ საზოგადოებასთან, კერძოდ, მასწავლებლებთან და გავიგოთ მათი მოსაზრება. ყველას ვთხოვდით, თუ რამეში პრობლემა დაინახეს, გვითხრან. ვერ ვნახეთ ვერც ერთი პედაგოგი, რომ პრეტენზია გამოეთქვა, რატომ იყო ასეთი ძნელი ტესტი ან რომელიმე კონკრეტული ამოცანა იყო

განსაკუთრებით რთული. მსგავსი არაფერი ყოფილა.

ჩვენ ურთიერთობა გვაქვს მასწავლებელთა სახლთან, სადაც, სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებაში დასახმარებლად, პედაგოგებს ტრენინგები უტარდებათ. ჩვენი გამსწორებლების დიდი ნაწილი სწორედ ის ტრენინგებია. გასწორების პროცესში ისინი თვალნათლივ ხედავენ თავიანთი შრომის შედეგს და აღნიშნავენ, რომ პედაგოგთა ცოდნის დონე არ იყო დამაკმაყოფილებელი. მაგრამ ეს პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა, ნამდვილად არ შეიძლება თქმა, რომ პედაგოგები სათანადოდ არ მოემზადნენ, არც მასწავლებელთა სახლის შრომის წყაღში ჩაყრა არ შეიძლება. შექმნილ ვითარებაზე, ალბათ, თვითონ მასწავლებლებსა და სახლიც ფიქრობს.

საქმე იმაშია, რომ ტრენინგები ძალიან ხანმოკლეა. მასწავლებელთა სახლი ცდილობს, რომ ეს იყოს არა მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი, არამედ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსიც. შესაბამისად, პედაგოგებისთვის, რომლებიც ამ ტრენინგებს ესწრებიან იმ მიზნით, რომ გამოცდები ჩააბარონ, ეს საკმარისი არ არის, თან მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც ამ მომენტში არ სჭირდებათ. ის მასწავლებელიც, რომელიც მართლაც რაღაც ახლის შესაძენად არის მისული, სრულად ვერ კმაყოფილდება. ამიტომ, ეს ორი რამ აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს. ამაზე მასწავლებელთა სახლშიც ფიქრობენ და, ალბათ, გააკეთებენ კიდევ – იყოს

უფრო ხანგრძლივი მოსამზადებელი კურსები ერთი ჯგუფისთვის და მეორესთვის – კვალიფიკაციის ასამაღლებელი ამ მხრივ ხელშეწყობას მასწავლებლები ნამდვილად საჭიროებენ – თავისივე კოლეგა კვალიფიკაციურად დაეხმაროს იმ საკითხების გამეორებაში, რომელიც მათთვის პრობლემურია.

პედაგოგებსაც უნდა გაუფიქროთ, დაბალ ხელფასთან ერთად, წლების განმავლობაში ქიმიის აკადემიებს სრულფასოვნად ვერ გააძეგნენ. როდესაც მოსწავლე გეტყვის, რომ ქიმია არ სჭირდება, ძალიან ძნელია, იძულებით ასწავლო საგანი. ძალიან ძნელია ასევე ქიმიის ასწავლო ისე, რომ არ გამოიყენო მისი მთავარი სილამაზე – სადემონსტრაციო ცდები, რათა მოსწავლეთა მოტივაცია გაზარდო. თუ ქიმიას, ყოველივე ამის გარეშე, აბსტრაქტულ მეცნიერებად ასწავლი, ბავშვმა ერთი ორჯერ შეიძლება მოისმინოს, მაგრამ მერე აღარ დაინტერესდება. როდესაც თითქმის ცარიელ კლასში ატარებთ გაკვეთილს და თან არავინ გისმენს, ესეც ერთ-ერთი მიზეზია პედაგოგთა დეკვალიფიკაციის.

ამიტომ აუცილებელია, ერთი მხრივ, სკოლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, რომ მასწავლებლებმა შეძლონ ტექნიკური საშუალებების გამოყენება და, მეორე მხრივ, მათ ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესწავლისა და ასევე, თეორიული ცოდნის დეფიციტის შევსების საშუალება უნდა მიეცეთ.

სტატისტიკურ მონაცემებს თუ შევხედავთ, 2011 წელს გამოცდაზე გამოვიდა 521 აბლიკანტი, ჩააბარა

226-მა; 2012 წელს – 715, ჩააბარა 277-მა; 2013 წელს – 435, ჩააბარა 39-მა. გამოცდის ტესტი ერთნაირი ფორმატის იყო – 70-ქულიანი და 43 ქულა უნდა მოეგროვებინათ (აბიტურიენტებთან 19 ქულაა 75-იდან). წელს ჩამბარებულთა რიცხვმა მკვეთრად კი მოიკლო, მაგრამ ვნახოთ როგორია საერთო სურათი: თუ მეორე წელს განმეორებით გამოვიდა 178 აბლიკანტი, წელს – 249 და ჩააბარა 76-მა, მათ შორის მესამე ცდაზე 66 გამოვიდა და მხოლოდ 3-მა ჩააბარა. თუ საბოლოოდ ჩაბარებულების პროცენტს ავიღებთ, დაახლოებით იგივეა, რაც პირველ წელს – 43.4% და 43.6%. ახალი მასწავლებელი სულ უფრო და უფრო ცოტა გამოდის. პროგნოზი ისეთია, რომ მომავალში ეს პროცენტი კლებას დაიწყებს, თუ რადიკალური დახმარება არ იქნა განუყოფელი ტრენინგების გახშირებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფით.

სამივე წლის შედეგად, სულ 545-მდე მასწავლებელს აქვს ზღვარი გადალახული. თუ ჩავთვლით, რომ 3000-მდე სკოლა გვაქვს, მინიმუმ, ამდენივე ქიმიის მასწავლებელი უნდა იყოს. ამიტომ კიდევ დიდი ნაწილია გამოსასვლელი, ჯერ საერთო რაოდენობის ნახევარიც კი არ გასულა გამოცდაზე. ვინც გამოვიდა, მათგან უმეტესობა მეორედ და მესამედ აბარებდა გამოცდას. ეს პროცენტი თუ შენარჩუნდა, კარგი იქნება, მაგრამ დიდი შიში გვაქვს, რომ დაიწყება კლება.

ძალიან ბევრი კარგი მასწავლებელი გვყავს – ამის ხაზგასმამ მინდა. ჩვენ მათ ვიცნობთ. პირველივე წლის

შემდეგ, სპეციალურად მოვიწვიეთ მასწავლებლები, ვისაც უმაღლესი ქულები ჰქონდათ და ჩავრთეთ გასწორების პროცესში, ისინი მასწავლებლის სახლმაც გამოიყენა. მათი მოსწავლეები ოლიმპიადებში ხშირად იმარჯვებენ. ამ პედაგოგებსაც სხვების ანალოგიური პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ შედეგი განსხვავებული აჩვენეს. ასეთი მასწავლებლები არა მარტო თბილისში, რეგიონებშიც ბევრია. მათ ახლა ტრენინგებად იყენებენ. პედაგოგებს რაიონიდან თბილისში რომ არ მოუხდეთ ჩამოსვლა, ადგილებზე უტარებენ ტრენინგებს. მაგალითად, კარგი პედაგოგები არიან ზუგდიდში, ასევე – ახალციხეში და სხვ. ამ რესურსის გამოყენება, ალბათ, კიდევ უფრო აქტიურად შეიძლება იმისთვის, რომ მათ სხვა პედაგოგების გადამზადებაში მიიღონ მონაწილეობა.

კიდევ ერთი პრობლემა – მასწავლებლების ასაკი და შემცველის არარსებობა. მეთორმეტეკლასელებს რომ ჰკითხოთ, ვისი ოცნებაა ქიმიის მასწავლებლობა, მსურველების რაოდენობა ალბათ ნული იქნება. იმისათვის, რომ ნული არ იყოს, გარკვეული მოტივაცია უნდა არსებობდეს. სანამ ეს მოტივაცია არ გაჩნდება, პრობლემები მუდმივად იარსებებს. წელს ამ მიმართულების სრულად დაფინანსებამ გამოიწვია, რა თქმა უნდა, ქიმიის ჩამბარებელი აბიტურიენტების რაოდენობის ზრდა, მაგრამ მეორე საკითხია, იმ სტუდენტებიდან რამდენი მიიღობენ მასწავლებლობას.

ესაუბრა ლალი თვალაბაიშვილი

ინფორმაცია

„ჩემი სამყარო“



25 სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მასობრივი კამპანიის – საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის – „ჩემი სამყარო“ მთავარი ღონისძიება გაიმართა.

გამოკითხვის მიზანია გარკვევის, როგორ სამყაროში სურთ ცხოვრება ადამიანებს და რა საკითხებია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს უპრეცედენტო საერთაშორისო პროცესი მსოფლიოს 194 ქვეყანაში მიმდინარეობს, მათ შორის საქართველოშიც. გამოკითხვის მონაწილეები ავსებენ კითხვარს და, ჩამოთვლილი 16 საკითხიდან, პირადად მათთვის მნიშვნელოვან ექვს პრიორიტეტს ირჩევენ.

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

გამოკითხვის პირველადი შედეგების განხილვა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე შედგება. ადგილობრივი კამპანია ხელს შეუწყობს საქართველოს წარმოჩენას ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე.



თსუ-ს რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით: „გამოკითხვა ემსახურება იმას, რომ შეიქმნას მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტების სურათი. პროცესი ტექნოლოგიურად მარტივი ჩასატარებელია, შედეგად კი დაგროვდება ძალიან კარგი მასალა შემდგომი კვლევებისთვის – მთავრობებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, მეცნიერებისთვის, მიღებული შედეგების გასაანალიზებლად.“

„ათასწლეულის განვითარების გეგმების ციკლი 2015 წელს მთავრდება, ამიტომ საინტერესოა, როგორი უნდა იყოს მსოფლიო მომავალში, როგორ გვსურს ცხოვრება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ლიდერებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს ვაჩვენოთ, რა პრიორიტეტები აქვთ ადამიანებს. ჩვენ გვაქვს იმის შანსი, რომ ვუთხრათ მსოფლიო ლიდერებს, რა პრობლემები გვაქვს, რა გვჭირდება“ – აღნიშნა გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა ინიტა პაულოვიჩამ.

საქართველოში კამპანია „ჩემი სამყარო“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით ტარდება, საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და აკადემიურ წრეებთან მჭიდრო თანამშრომლობით. გამოკითხვა მიმდინარეობს ფოკუს ჯგუფების, SMS-ის და ვებგვერდის მეშვეობით. უკვე 2 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს ყველა რეგიონში, უნივერსიტეტებსა და პროფესიულ კოლეჯებში გაიმართება საინფორმაციო სესიები მსურველთათვის, ახალგაზრდული პარლამენტის წევრები პასუხს გასცემენ შეკითხვებს გამოკითხვის „ჩემი სამყარო“ შესახებ და დაეხმარებიან მსურველებს, მონაწილეობა მიიღონ გამოკითხვაში ვებგვერდის მეშვეობით.

სსსმ პირები პროფესიულ პროგრამებზე ისწავლიან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, პირველად, საშემოდგომო მიღებისას, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები ჩაერთვებიან.

2013 წლის საშემოდგომო მიღებისას სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 53 სწავლის მსურველი პირი დარეგისტრირდა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვა პროფესიული ტესტირების საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნული პროცესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ინტერესებისა და შესაძლებლობის გამოვლენას ითვალისწინებს, რის საფუძველზეც, განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ტესტირების მიმდინარეობის პროცესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი გაეცნო.

პროფესიულ სასწავლებლებში შექმნილია შესაბამისი პირობები, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

მქონე პირებმა შეძლონ სასურველი პროგრამების (მაქსიმუმ 3) მოსინჯვა. პროგრამის მოსინჯვისათვის განხორციელდა პირების საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება, შეფა-



სებზე დაყრდნობით, პროფესიულ სასწავლებლებში დასაქმებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ დაიგეგმა და წარმატებით ხორციელდება თითოეული პროფესიის შესაბამისი აქტივობები.

ინკლუზიური პროფესიული განათლება ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შესაძლებლობების რეალიზებას, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც მათი შემდგომი დასაქმების წინაპირობაა.

საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული განათლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება. ინკლუზიური პროფესიული განათლების ეფექტური წარმართვისათვის, 6 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 18 ინკლუზიური განათლების სპეციალისტია ჩართული, ინკლუზიური განათლების ექსპერტების მხრიდან ხორციელდება პროცესის მონიტორინგი.



სკოლამდელი განათლება – არამომზიდველი რეალობა და პერსპექტივები

სასწავლო წლის დაწყება ისეთივე თანასაბუთო რჩება ბავშვის ასაკის განვითარების მართლმართლად, როგორც სკოლის მოსწავლეების მოვლენისთვის. გამომდინარეობს იმის კითხვები: სად მივიყვანო ბავშვი, რომელი ბავშვი სჯობს, კერძო თუ სახელმწიფო? გუნდობრივად, ამის მიზანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არასაკმარისი ხარისხის, არასანდობის, რომ მათი შვილების განვითარება ადრეულ ასაკში სათანადოდ ვერ იქნება უზრუნველყოფილი. მისთვის მოვლენის, რადგანაც სახელმწიფო ბავშვი დღეს მართლაც ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის განვითარებას, მათ მომზადებას სკოლისთვის.

ჩვენს სკოლამდელ განათლებაში, სამწუხაროდ, დიდი ხნის განმავლობაში სიხშირე არ შესულა, ბავშვის უმრავლესობაში სწავლება კვირის მეთოდოლოგიით მიმდინარეობს, ეს მათთვის, როდესაც ყველა კვლავ ადასტურებს, რომ სკოლამდელ განათლებას განვითარებითი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის. მაინც რა კრიტერიუმებით უნდა შეარჩიოს მომზადება ბავშვი? ჯერ კიდევ შემორჩენილი საბჭოური ზეიმების სიუხვით თუ იმ კრიტერიუმებით, რომელმაც მათი შვილი სკოლისთვის უნდა მოამზადოს. პირველ რიგში, ალბათ, სასწავლებელი მომზადება იცოდეს, როგორ მომზადებულ ბავშვს იტყვოს პირველი კლასი. პალე კი ამისათვის დიდი რისკისაა აქვს – განუვითაროს სკოლამდელი ასაკის პატარას ყველა ის უნარი, რომელიც პირველკლასელს სჭირდება. ამიტომ, მომზადებას მაინცდამაინც გული ნუ დასწყდებათ, თუკი მათმა შვილმა ბავშვი ზეიმად „მთავარი როლი“ ვერ მიიღო,

ნურც იმაზე, რომ 5 წლის ასაკში სკოლაში არ მიიყვანეს. რადგანაც ვერც ზეიმი იძლევა სასწავლო შედეგს და ვერც 5-წლიანი ასაკის ბავშვის სკოლაში დაშვება. „სოციალური კვლევის“ და ანალიზის ინსტიტუტმა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაკვეთით, 5 წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემები გამოიკვლია. კვლევა აჩვენებს, რომ მომზადები სწორად 5 წლის ბავშვების მზარდობის ფაქტორად ლექსიკის ცოდნასა და ფიზიკურ პარამეტრებს განიხილავენ, არადა ბავშვის სასკოლო მზობა მთელ რიგ ფიზიკურ, შემცნებით და სოციალურ ფაქტორებს მოიცავს და მხოლოდ ლექსების, ასოების და ციფრების ცოდნით არ განისაზღვრება. იმავე კვლევის შედეგად, 5-წლიანი ბავშვების სკოლაში დაშვება არასწორად შეფასდა.

გუნდობრივად, ჩნდება კითხვა, როცა არსებობს პრობლემა, რას აკეთებს შესაბამისი უწყება ამ პრობლემის დასაქმებლად? სკოლამდელი განათლების შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2007 წლიდან დაიწყო მუშაობა, შეიქმნა ახალი სტანდარტი და პროგრამები, მასწავლებლებისთვის მეთოდოლოგია, რომელიც სკოლამდელი აღზრდის სასწავლო დაწესებულებებში უნდა დაინერგოს, თუმცა ეს მხოლოდ მუნიციპალიტეტებისა და თავად ბავშვის მათი მოვლაში შეიქმნა განხორციელებული.

ბავშვს კვირას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, სკოლამდელი განათლების პირველი საერთაშორისო კონფერენცია „სკოლამდელი განათლება



საპარტიველოში – რეალობა და პერსპექტივები“ გაიმართა. კონფერენციის მიზანი სწორედ სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების დასახვა და რეკომენდაციების შემოთავაზება იყო, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სკოლამდელი განათლების ერთიანი სახელმწიფო ხედვისა და პოლიტიკის შემდგომი პროცესში.

როგორ მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების განვითარების პროცესი, ამის შესახებ გვიხატება სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი ნატო ფანჩულიძე.

– სკოლამდელი განათლების თემა აქტუალურია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის უკვე 2007 წლიდან. ამ პერიოდში შეიქმნა არაერთი მეთოდოლოგიური მასალა, მათ შორის ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარების სტანდარტი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია – ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას ემსახურება როგორც ფიზიკური, ისე შემეცნებითი და ესთეტიკური კუთხით. დოკუმენტში ასახულია, რა უნდა იცოდეს ბავშვმა სკოლაში წასვლამდე ან რა უნარებს უნდა ფლობდეს, ანუ მასში ბავშვის განვითარების ყველა კომპონენტია გათვალისწინებული. ამ დოკუმენტის შემდეგ მასწავლებელთათვის შეიქმნა დამხმარე მეთოდოლოგია, როგორ წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ ბავშვმა სტანდარტით გათვალისწინებულ მიზნებს მიაღწიოს. რა თქმა უნდა, ეს არ არის დოგმატური

მიზნები, რადგან თითოეული ბავშვი ინდივიდუალური განვითარების გზას გადის და საკუთარი ტემპით ვითარდება. ასე რომ, ეს არ არის მკაცრი დოკუმენტი, რომელიც ავალდებულებს მასწავლებელს, ამა თუ იმ შედეგზე გაიყვანოს ბავშვი. თუმცა, ეს სასურველი მიზანია რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყველა აღმზრდელი, მასწავლებელი. გარდა ამისა, შეიქმნა: მასწავლებლებისთვის – სასწავლო სივრცის ორგანიზების სარეკომენდაციო მასალა; ბავშვის გამგებებისთვის – სკოლამდელი დაწესებულების მართვის სახელმძღვანელო; არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის – ქართული ენის სწავლების მასალა ადრეულ ასაკში და სხვ.

დამეთანხმებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ბუნებრივად, ვაგრძელებთ მასალებს, თუმცა ბევრი არაფერი შეცვლილა, რადგან, მოგეხსენებათ, სკოლამდელი განათლება არ

არის სავალდებულო, არ არის ყველასთვის უზრუნველყოფილი და ძალიან დაბალია ჩართულობა, ბავშვების დაახლოებით 50 პროცენტია ჩართული. აქედან გამომდინარე, არაერთგვაროვანი სურათია – ქალაქებში გადატვირთული ჯგუფები, სოფლებში ბავშვის არარსებობა. სწორედ ამ პრობლემებზე სასაუბროდ გადავწყვიტეთ საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, რომელსაც უცხოელი მომხსენებლები და სტუმრები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე 12 მოხსენება იყო წარმოდგენილი, ასევე კვლევა, რომელიც 5-წლიანი ბავშვების სკოლაში მიყვანასთან დაკავშირებულ პრობლემებს წარმოაჩენდა.

თემით – სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის შესახებ – განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ადრეულ ასაკში ჩადებული ინვესტირების ეფექტურობაზე (ეგვილიზმობა პროგრამებს, ადამიანურ-მატერია-

ლურ რესურსებს). თუკი ეს ადრეულ ასაკში იქნება უზრუნველყოფილი, ეს დახარჯული თანხა სახელმწიფოს, გრძელვადიან პერსპექტივაში, სარგებელს მოუტანს. ეს არის დაზოგვილი თანხა ჯანდაცვის კუთხით, ანუ ადამიანები, სავარაუდოდ, უფრო ჯანმრთელად ვითარდებიან და ყალიბდებიან, როცა ადრეულ ასაკში ხდება მათ შესაძლო პრობლემებზე რეაგირება და ამ პრობლემების გადაჭრა. კვლევები ადასტურებს, თუ ბავშვი სრულფასოვანია და მას ადრეულ ასაკში განვითარების უფრო მრავალფეროვანი გარემო აქვს, ის მეტ წარმატებას აღწევს ზრდასრულ ასაკში. თუკი ბავშვი სკოლაში იმ უნარებით აღჭურვილი მიდის, რაც მას პირველი კლასის სასწავლო პროგრამის უკეთ დაძლევაში ეხმარება, ბუნებრივად, ის უფრო ნაყოფიერ შედეგს აჩვენებს. ადრეულ ასაკში ბავშვისთვის შექმნილი კარგი გარემო – აღმზრდელთა, საგანმანათლებლო და ა.შ. – მას სწავლის შემდგომი პერიოდისთვის და საერთოდ ცხოვრებისთვის ამზადებს. რასაკვირველია, ეს აქტივობები გაჯერებული უნდა იყოს თამაშით ან თამაშზე ორიენტირებული, რადგანაც ეს ადრეული ასაკია და არ შეიძლება ისეთი აქტივობებით გადატვირთვა, რომელიც ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს არ ითვალისწინებს. ამის გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია, სწორედ ამიტომ მოითხოვს ადრეული ასაკის საგანმანათლებლო პროგრამები ძალიან გულსხმიერ მუშაობას. მის შედეგში ჩართული უნდა იყვნენ ფსიქოლოგები, დარგის შესაბამისი სპეციალისტები, რათა ბავშვებმა თავი იგრძნონ კომფორტულად, უსაფრთხოდ და, რაც შეიძლება, მეტი ინტერესი გაუჩნდეთ. საქართველოში არის ადგილები, სადაც აუცილებლად საჭიროა სწრაფი რეაგირება – საჭირო დროს საჭირო ზომების მიღება, რომ აღმოიფხვრას არსებული ვითარება – მაგალითად, გადატვირთული ჯგუფები, დაბალი ხარისხის მომსახურება, რაც მრავალი კომპონენტით ხასიათდება. ეს შეიძლება ეხებოდეს კვებას, უსაფრთხოებას, სანიტარულ მდგომარეობას. სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობისთვის გაიმართა კონფერენცია, რომელზეც მრავალფეროვანი მოხსენებები წარმოადგინეს, მეორე ნაწილი კი ამ მოხსენებების შედეგად წამოჭრილ საკითხებზე



სკოლამდელი აღზრდა

მსჯელობასა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას დაეთმო - რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ კონფერენციაზე დასახელებული პრობლემები აღმოიფხვრას და ეს მომსახურება გაუმჯობესდეს. დოკუმენტი, რომელზეც უკვე ვმუშაობთ, მოიცავს სფეროს ორგანიზებას და აღმზრდელის/მასწავლებლის კვალიფიკაციას. აუცილებლად უნდა განისაზღვროს, რა კვალიფიკაციის ადამიანი იქნება ამ სფეროში დასაქმებული.

- ბუნებრივია, კარგია, როცა იქმნება სტანდარტი და პროგრამები, მეორე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როგორ და რა სახით ხდება მისი რეალიზება? რამდენად შეძლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს სკოლამდელ დაწესებულებებში ამ სტანდარტის დანერგვას?

- რეკომენდაციების სახით ჩვენ უკვე ჩართულები ვართ, არსებობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სამინისტროში სამი ადამიანითაა წარმოდგენილი - წარმატებული ბაღის გამგე, წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი და განათლების სფეროს ექსპერტი. ისინი არსებულ მასალას, შესაძლებლობისა და მასშტაბის ფარგლებში, უნევენ პოპულარიზაციას, ანუ რეგიონებში გააქვთ და საკონსულტაციო შეხვედრებს ატარებენ, რათა ადგილებზე გაეცნონ აღმზრდელები/მასწავლებლები და ამ სფეროს მესვეურები პროგრამებში ასახულ რჩევებს, მითითებებს და მიიღონ რეკომენდაციები. რა თქმა უნდა, სტანდარტი მითითებული რეკომენდაციები მაქსიმალურად ვერ განხორციელდება, მაგრამ კარგი იქნება ეს გარკვეულ დონეზე მაინც თუ მოხდა. თუნდაც რამდენიმე მასწავლებელმა რომ მიიღოს სარგებელი, რჩევა და დანერგოს სკოლამდელ დაწესებულებაში, ესეც საქმეა. მაგრამ, ისევე და ისევე, ვიმეორებ, რომ ზოგადად რთული განსახორციელებელია, რადგან, ქვეყნის მასშტაბით, მძიმე მდგომარეობაშია სკოლამდელი განათლების სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით რეგიონებში. ასევე მწვავედ დგას ადამიანური რესურსის პრობლემაც. ასაკი თავისთავად დასაძრავი არ არის, მაგრამ თუ საბავშვო ბაღის აღმზრდელი ასაკოვანია, შესაძლოა პატარასთან ურთიერთობა გაუჭირდეს, რადგან ამ ასაკის ბავშვები დინამიურ ურთიერთობას მოითხოვენ. ამდენად, მსცოვანმა ადამიანმა, ბუნებრივი მდგომარეობის გამო, შესაძლოა ეს ვერ შეძლოს. ხშირად ბაღის მასწავლებელს მეტი ფიზიკური აქტივობა მოეთხოვება - ბავშვთან ისეთი კომუნიკაცია რომელიც ბურთით თამაშით ან თუნდაც სიმღერით უნდა განახორციელოს.

ეს ზღვარი სტანდარტში მოცემულია. ბავშვის მრავალმხრივი განვითარება ნიშნავს როგორც ფიზიკური, ისე ესთეტიკური ღირებულებების მიმცემ აქტივობებს. სიმღერის ელემენტის შესატანად არ არის აუცილებელი ბავშვთან მუსიკის მასწავლებელი შედოდეს, ეს ელემენტი სწავლის პროცესში, მთელი დღის განმავლობაში, ტიპურმა აღმზრდელმა შეიძლება განახორციელოს. ამგვარი უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი სკოლამდელი განათლების დაწესებულებების თანამშრომ-

ლები არსებობენ როგორც უცხოეთში, ისე ჩვენს ქვეყანაში, ამის პრაქტიკა არსებობს. სკოლამდელი განათლების ან ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების სპეციალისტი ან აღმზრდელი იმ მინიმალურ კომპეტენციებს უნდა ფლობდეს, რაც ბავშვთან ურთიერთობისას სჭირდება.

- ნებისმიერი სიახლის დანერგვას სასწავლო დაწესებულებაში უშუალოდ მასწავლებელი/აღმზრდელი ახორციელებს. ამისთვის აუცილებელია თავად ფლობდეს სიახლეს, რაც უნდა დანერგოს. სხვა შემთხვევაში, მასწავლებელს ვერ მოვთხოვთ სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგს. ბუნებრივია, დგება აღმზრდელთა გადამზადების საკითხი. ეს ვისი პრეროგატივაა? ვინ უნდა უზრუნველყოს აღმზრდელის/მასწავლებლის გადამზადება?

- ამჟამად ეს სამინისტროს პრეროგატივა არ არის, ეს ფუნქცია ჩვენ არ გვაქვს. ამ მომსახურებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და თვითმმართველობები ახორციელებენ და სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ მასწავლებლების გადამზადება, მცირე მასშტაბით, რასაც აკეთებენ კიდევ. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ცენტრები თითქმის ჩამოსათვლიელია. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ბაღის აღმზრდელის ან სკოლამდელი დაწესებულების სპეციალისტის საკვალიფიკაციო კურსი, რომელიც, რა თქმა უნდა, ფასიანია.

- ჩართული არიან თუ არა ამ პროცესში კერძო ბაღები, რომლებიც ძალიან მომრავლდა და მოსახლეობის შეძლებული ნაწილი ბავშვის იქ მიყვანას ამჯობინებს?

- ჯერჯერობით, ვცდილობთ, საჯარო სივრცესთან გავარკვიოთ, რა ფორმატში მოხდეს მომსახურების გაუმჯობესება და შემდგომში, რასაკვირველია, ეს კერძო სექტორსაც შეეხება.

- რა სახით ვრცელდება ეს ინფორმაცია სკოლამდელ დაწესებულებებში?

- დამხმარე მასალა ჯერ კიდევ 2007 წელს დაიბეჭდა და გავრცელდა. გარდა ამისა, არსებობს ელექტრონული ფორმაც. სამინისტროში შექმენით ინტერნეტგვერდი, რომელზეც აიტვირთება ინფორმაცია დღევანდელი განათლების სამმართველოს მიერ განხორციელებული პროგრამებისა და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის საქმიანობების შესახებ, ვებგვერდზე, ასევე, იქნება ადგილი პუბლიკაციებისთვის და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მუდმივ განახლებად რეჟიმში იმუშავებს და ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება.

- რა ინიციატივებია დაგეგმილი ინკლუზიური განათლების მიმართულებით?

- ამ კუთხით საკმაოდ კარგი ინიციატივები გვაქვს. არსებობს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნავს და მათთვის იმ ტიპის პროგრამებს ახორციელებს, რაც მათ ადრეულ ასაკში უკეთ განვითარებაში ეხმარება. მათ თბილისისა და რე-

გიონის ბაღების მასწავლებლები გადაამზადდეს. ეს საუკეთესო მაგალითია იმისა, როგორ ითანამშრომლოს საჯარო სექტორმა კერძოსთან. ბუნებრივია, ყველაფერი ეს არ არის სისტემაში მოყვანილი და, ჯერჯერობით, მხოლოდ პროექტებისა და ინიციატივების დონეზეა. თუმცა, იმედი გვაქვს, შემდეგი ნაბიჯი ამ დახმარებებს უფრო მასშტაბურს გახდის.

- რას გულისხმობთ შემდეგ ნაბიჯში?

- შემდეგი ნაბიჯი, სკოლამდელი განათლების მიმართულებით, ეროვნული ხედვის შემუშავებაა. უნდა ჩამოყალიბდეს იმაზე, რა გვინდა და როგორ გვინდა, რომ იყოს ორგანიზებული ასაკობრივ ჭრილში. რომელ ასაკზე რომელი უწყება იქნება უფრო კომპეტენტური. თუ სკოლისათვის მზაობაზეა საუბარი, ერთი ნიშნურები წლის მანძილზე, შეიძლება 5-წლიანთათვის შემუშავდეს გარკვეული ტიპის პროგრამა და ეტაპობრივად გავხადოთ სავალდებულო. პირველ ეტაპზე, შესაძლოა ბავშვების გარკვეულ რაოდენობაზე გამოცადოს და შემდგომში მათი რიცხვი გაიზარდოს, რომ ამით სკოლისათვის მზაობა უზრუნველყოს. რასაკვირველია, თანხვედრა უნდა იყოს პირველი კლასის პროგრამასთანაც.


- გამოდის, რომ სკოლამდელი განათლების პროგრამა მონყვეტილია სასკოლო განათლების პროგრამას, ანუ კავშირი ამ საფეხურებს შორის დარღვეულია?

- რასაკვირველია, მონყვეტილია. კერძო სკოლებში მოსამზადებელი კლასების შექმნის ტენდენცია შეიმჩნევა, ანუ კერძო სექტორმა აღნიშნულ პრობლემას ამით უპასუხა. მათ, თავისი საჭიროებიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ სასურველია პირველ კლასში მოსვლამდე ბავშვი მეტად იყოს მომზადებული. თუმცა, ჩვენ არ ვართ სრულად ინფორმირებულები კერძო სკოლების მოსამზადებელი ჯგუფების პროგრამებზე. შესაძლოა ეს კარგი აქტივობაა.

- ბაღებში აღსაზრდელთა ნაკლები ჩართულობა გასულ წლებში იმანაც განაპირობა, რომ საბავშვო ბაღები ფასიანი იყო. წელს, როცა ბაღებში უფასო სწავლება გამოცხადდა, გაცილებით მეტი ბავშვი მივიდა. როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოს მხრიდან ეს სეგმენტი მეტ ყურადღებასა და სერიოზულ რეფორმირებას ხომ არ საჭიროებს?

- ზოგადი განაცხადი შეიძლება ასე გაკეთდეს, სტატისტიკაც არ არსებობს. ეს საკითხი, საქართველოს მასშტაბით, დასარეგულირებელია, ძირითადად რეგიონებში. რაც შეეხება თბილისს, სოციალური სააგენტოს ინფორმაციით, მსურველთა რაოდენობა ბაღებში მართლაც გაიზარდა. რა თქმა უნდა, ნაწილობრივ, უფასო სწავლებითაა განპირობებული მსურველთა რაოდენობის ზრდა. თუნდაც, 5 წლის ბავშვების მშობლებს ურჩევინათ სკოლაში მიიყვანონ შვილები და არა ბაღში.

რეფორმირებას რაც შეეხება, ისევე გავიმეორებ, რომ საკმაოდ შრომატევადი და რთული ამოცანაა. საბოლოო ჯამში, ყველაფერი



ისევე ფინანსდებოდა მდის - აქვს თუ არა სახელმწიფო ფინანსური რესურსი, რომ ადრეულ ასაკში ყველა ბავშვი მიიღოს მოსამზადებელი ჯგუფი, ან მიზანშეწონილია თუ არა საერთოდ მოსამზადებელი ჯგუფი, თუ სხვა მიმართულებით უნდა მიექცეს ამ სფეროს ყურადღება - იქნება ეს პოლიტიკის შემუშავება, თუ დოკუმენტის შექმნა, რასაც ბევრი კომპეტენტური სპეციალისტი ერთად მუშაობა სჭირდება. სახელმწიფო პოლიტიკა რომ განახორციელო, პირველ რიგში, უნდა იცოდეს, რას ახორციელებს. სახელმწიფო პოლიტიკად სკოლაში 5-წლიანი ბავშვების დაშვებაც შეიძლება დასახელდეს და რა ხდება შემდეგ? ერთ-ერთი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეს ინიციატივა ბავშვისათვის სასარგებლო არ აღმოჩნდა იმიტომ, რომ მათ ნაკლები ნებელობა, ყურადღების ნაკლები კონცენტრაცია და რიგი სხვა უკუეფექტორი ჰქონდათ.

- საერთაშორისო კვლევებით აღიარებულია, რომ ადრეული ასაკის განათლება, გარკვეულწილად, განაპირობებს შემდგომი განათლების ხარისხს - გაცილებით წარმატებულები არიან ის ბავშვები სკოლებში და შემდგომ უმაღლეს სასწავლებლებში, ვინც ბაღში დადიოდა. ხომ არ იგეგმება ამ ორი რგოლის მეტად დაკავშირება, მათი სასწავლო პროგრამების თანხვედრა და ამით განათლების ხარისხის ამაღლება?

- ეროვნული ხედვის დოკუმენტის განსაზღვრაში ყველა იმ ორგანიზაციამ, უწყებამ, თუ პიროვნებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ვისთანაც ეს უშუალო კავშირშია. შინაარსობრივად, ყველაზე მჭიდროდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უკავშირდება, ჩვენი სამმართველოც სწორედ ამიტომამ სამინისტროში. კიდევ ერთხელ განისაზღვრება, ისევე და ისევე, 5-წლიანი ბავშვების მიყვანა სკოლაში - რამდენად შესაფერისია მათთვის პირველი კლასის პროგრამა თუ განსაკუთრებული აქტივობა უნდა დაიგეგმოს? ასეთი ნიუანსები აუცილებლად გასათვალისწინებელია. უმჯობესია მათ თამაშით გაჯერებული ან თამაშზე ორიენტირებული შემეცნებითი ტიპის აქტივობები მიენოდეოდეს, რაც დღეს შეუძლებელია, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამას სხვა სივრცე, გარემო და ფორმატი სჭირდება, რასაც დღეს საჯარო სკოლების პირველი კლასი ვერ უპასუხობს.



ინფორმაცია

შენი ნიგნი

10 სექტემბერს, „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დარბაზში, პროექტ „შენი ნიგნი“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის შესახებ ისაუბრეს „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ უფროსის მოადგილე მაკა შენგელიამ და ია ანთაძემ, რომელიც ნიგნის რედაქტორი და პროექტის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელია. საინიციატივო ჯგუფის წევრებს გადაეცათ სიგელები. ავტორებმა ნაკითხეს თავიანთი ნაწარმოებები. პრეზენტაციას ცნობილი ქართველი მწერლები – გაგა ნახუცრიშვილი და ანა კორძაია-სამადაშვილი დაესწრნენ.

„შენი ნიგნი“ სკოლის მოსწავლეთა მოთხოვნებს, ლექსებსა და ნახატებს აერთიანებს. ნაშრომები კონკურსის წესით შეირჩა და კრებულის სახით გამოიცა. „მოზარდთა ინიციატივების ცენტრის“ მონაწილეთა ერთ-ერთი ჯგუფის მიერ შემუშავდა პროექტი, სახელწოდებით – „შენი ნიგნი“, რომელიც ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ნაშრომების (ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები, ესკიზები, ნახატები, ფოტოები) შეგროვებას და ერთ ნიგნში გაერთიანებას. დღის მეორე ნახევარში პრეზენტაცია გაიმართა მწერალთა სახლშიც. ახალგაზრდა პოეტებმა თავიანთი ლექსები გააცნეს შეკრებილ საზოგადოებას.

რა ლამაზად ჩამოხვედი ფეხად, ცაო, რა ლამაზად დამისველე ჩემი ქუჩა, იქნებ, ცაში იმალება ღმერთის დარდი, წვიმის წვეთად ჯიბეში რომ ჩაგვიკუჭა. შავ ქოლგის ქვეშ იმალება სხვისი სახე სიყვარულის და მონყენის ღიმილითურთ, წვიმის ბაღე რომ გაირღვა, დავინახე „რად წვიმდება“ ალბათ სადღაც გული გინუხთ. დააცადეთ ზეცას, ხალხო, დაიტროს იქნებ, სადღაც ბუნებასაც ჰქონდეს ცრემლი, წამწამს დახრის ჩემი ეზოს ხის ტოტივით, ხე ხომ არის წამწამივით ჩუმი, ბევრი. იქნებ, ხეა ჩემი წვიმის წამწამები, რომ აცეკვებს რითმის გრძობით ლამაზ ტანგოს, ცასაც სტკივა, ვაპატიოთ თითო ცრემლი, იქნებ ცა ვარ, მაპატიეთ ერთხელ, ხალხო. რა ლამაზად შეასრულე ტანგო, ცაო... რა ლამაზად დამისველე ჩემი ეზო... თითქოს, ღმერთო, ეს იყო შენი ცრემლი, თითქოს, ღმერთო, კიდევ ერთხელ შემინდესო.

მარიამ ლომთათიკა
წალკის №1 საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე

ვირ შვედრაპი

ვერ შევედრები შექსპირს, მე ვერ დაგინერ სონეტს, მოვა დრო, სათქმელს გეტყვი, უბრალოდ, ვეძებ მომენტს!

მე არც ედგარ პოს ვედრები, ანაბელ ლის რომ ეტრფის, ვიჯდები ჩემთვის ბუხართან და გულით დავწერ შენთვის!

გალაკტიონსაც ვერ ვგავარ, მერი რომ უყვარს ესე, შენ ჯვარს არასდროს დაინერ... და თუ დაინერ, ჩემზე!

ეს სიყვარული არ იქნება, ალბათ, ცალმხრივი, რატომ გაქციო უბრალო მუზად, თუ ხარ წამდვილი... მე ლექსს არასდროს არ დავუწერ ისეთს არავის, ვისაც სხვა უყვარს, ის ენატრება და ჩემი არ არის.

ანუკი ჰოფმანი
თბილისის №21 საჯარო სკოლის
XII კლასის მოსწავლე



ენების ევროპული დღე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პატრონაჟითა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, 7-14 ნოემბრის ბავშვებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოადგილე თამარ ბერუაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ქვეყნების ელჩები.

ენების ევროპული დღე, ევროსაბჭოს მიერ, 2011 წელს დაწესდა, რათა აღენიშნათ ევროპის კულტურული მრავალფეროვნება და მრავალენოვნება. ეს დღე ამჟამად მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

EUNIC – ევროკავშირის კულტურულ ინსტიტუციათა გაერთიანების ორგანიზებით, წელს პირველად, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ევროპული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, მოეწყო ენების მინი-სახელსონოები, კონკურსი „ენების პასპორტი“, აკუსტიკური კონცერტი მერაბ ნუცუბიძის შესრულებით.



ამერიკელი ინსტრუქტორები ქართულ მანდატურებს ტრენინგებს უტარებენ

საქართველოში სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებული შტატების სკოლის უსაფრთხოების ოფიცერთა ეროვნული ასოციაციის (NASRO) წარმომადგენლები იმყოფებიან. ვიზიტის ფარგლებში, ასოციაციის ინსტრუქტორები ქართველ მანდატურებს და ფსიქოლოგებს ხუთდღიან ტრენინგებს უტარებენ. ტრენინგების გახსნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსი ვახტანგ მეფიფარიანი დაესწრნენ.

NASRO-ს ინსტრუქტორები ქართველ მანდატურებსა და ფსიქოლოგებს ასოციაციის საქმიანობას აცნობენ და აშშ-ს სკოლის უსაფრთხოების ოფიცერების გამოცდილებას უზიარებენ. ტრენინგ-კურსი მოიცავს სამართლებრივი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებას და ნაშაულის, ნარკოტიკის მოხმარების, ძალადობის შემცირებისა და უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად.

კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ჯეიმს ქენედი სერტიფიკატებს გადასცემს.

აშშ-ს სკოლის უსაფრთხოების ოფიცერთა ეროვნული ასოციაცია NASRO წარმომადგენს სერტიფიცირებული სამართალდამცავი ოფიცერების, სკოლის უსაფრთხოებისა და საგანმანათლებლო პერსონალის, მათ შორის, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრატორების უმსხვილეს სასწავლო ორგანიზაციას მსოფლიოში, რომელიც ახორციელებს სამართლებრივ განათლებასთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების დანერგვას და სკოლის უსაფრთხოების ოფიცერთა პროგრამების პოპულარიზაციას როგორც აშშ-ში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახური ამერიკულ ორგანიზაციასთან 2011 წლიდან თანამშრომლობს.



2 ოქტომბერი გოდერძი ჩოხელის დაზღვევის დღეა

დავიბადე 1954 წლის 2 ოქტომბერს დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში; უფრო სწორად, ჩოხში არა.

ჩოხი ითვლებოდა წმინდა ადგილად. ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავი არის იქ და არ შეიძლება მშობიარობა (არც ადრე შეიძლებოდა, რა თქმა უნდა).

ამიტომ დედაჩემი წავიდა ზევით მთაში თავის დედ-მამასთან, სოფელ ბურსაჭირში, მაგრამ იქამდე ვერ მივალნიე და გზაში გაეჩნდი, გზაზე დავიბადე. შემოდგომა იყო, ციოდა. დედაჩემს მდინარის გაღმა სახლი დაუნახია და იქ მისულა. ეს მწყემსების სახლი ყოფილა, მაგრამ არც იმით შეუშვიათ. სახლშიც არ შეიძლებოდა მშობიარეს შესვლა. გომურში შესულა და ის ღამე იქ გაგვიტარებია.

ორმოცი დღე დავრჩენილვარ ბურსაჭირში და მერე დამაბრუნეს ჩოხში.

ჩოხში დავამთავრე რვა წლიანი სკოლა.

პირველად ფილმი ჩოხში ვნახე, მეოთხე კლასში და იქიდან გადავწყვიტე, რომ კინოსთვის დამეკავშირებინა ჩემი ბედი. შემდეგი ორი წელი ფასანაურში ვსწავლობდი, საშუალო სკოლაში.

შემდეგ ჩავაბარე შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, მაგრამ გადავედი კი-

ნოსარეჟისორო ფაკულტეტზე, რომელიც მოგვიანებით შეიქმნა.

ჩემი პირველი საკურსო ფილმი იყო „ნამეხარი მუხა“. მეორე საკურსო ფილმი იყო „ადგილის დედა“, რომელმაც მიიღო გრან-პრი ქ. ობერჰაუზენში, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე. პრიზის მისაღებად არ წავსულვარ. არც ვიცოდი, ჩემი ფილმი ფესტივალზე თუ იყო გაგზავნილი.

ინსტიტუტი დავამთავრე 1979 წელს და იმავე წელს მიმიღეს დამდგმელ რეჟისორად „ქართულ ფილმში“.

მწერლობა დავიწყე 1977 წელს. საკურსო ფილმებისთვის ვწერდი სცენარებს და შემდეგ დამიბეჭდეს, როგორც მოთხრობები. რედაქციაში რამდენიმე სცენარი დამინუნეს და სხვა დაგვიწერო, მეუბნებოდნენ. თურმე, თავიდანვე მოსწონებიათ და იმიტომ მანერინებდნენ. პირველი გამოსხაურება ბატონებმა – ნოდარ წულეისკირმა და ნიკო კეცხოველმა დამინერეს.

მერე, ჩოხელები ისეთი ჯიუტები ვართ...

ჩოხელი ქვაზე შედგა და აღარ ჩამოდიოდა. ეხვეწნენ, ჩამოდი, გაცივდებო, მაგრამ არ ჩამოვიდა. ბოლოს მართლა გაცივდა და მოკვდა...



ჰოდა, მეც დღემდე ჯიუტად ვწერ...

ჩემი პირველი წიგნი 1980 წელს დაიბეჭდა გამომცემლობა „მერანში“ – „წერილი ნაძვებს“. ჩემი პედაგოგი იყო ქალბატონი ლანა ლოლობერიძე და აღფრთოვანებული იყო ჩემი სცენარებით და მოთხრობებით. მანერინებდა და მანერინებდა...

სადებიუტო ფილმი იყო „ბაკურხვევლი ხევსური“.

1982 წელს მოვიყვანე ცოლი – ნინო. მყავს ორი შვილი – ლუკა და ნიკოლოზი. ჩოხში მამა მყავს. დედა აღარ მყავს. მამა 78 წლისაა. მყავს ერთი და – ელისო, გათხოვილია სოფელ ჭართალში. სკოლის მასწავლებელია.

გოდერძი ჩოხელის დაწერილი ავტობიოგრაფია

შემინახე, დედაო მინავ!

შენი სხეული ჩემს სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ ჩემს ძვლებს შენ გაბარებ სიკვდილის მერე.

როცა ჩემს თვალებს ცის ნათელი დაეკარგებათ, როცა ჩამოვლევ ჩემს წილ სანუთროს, როცა ჩემს მუხლებს შენზე დგომა არ შეეძლება, როცა ჩავქრები, სამძღორს იქით რომ გარდავხდები... გაიხსენი, გაიხსენი ეგ საკინძე და მიმიღე მე.

მიმიღე და შემინახე, შენ ხომ დედასავით გულუხვი ხარ, დედაჩემის გულიც ხომ შენთან არის, დედაჩემის მუხლებიც ხომ შენს უბეში აწყვია. მეც მანდ მამყოფე, მაგრძნობინე მაგ გულის ფეთქვა.

გაიხსენი და მძივებით ჩაიკრიფე მაგ უბეში ჩემი ძოღმანი.

ვინ დამაყენა შენს ბეჭებზედ, ვინ მომცა სახე, ვინ გამიმაგრა ეს მუხლები, ძვალი ძვალზე ვინ შემომადგა. ვინ მოახვია ჩემს ძვლებს ეგ ხორცი.

ვის სამსხვერპლოზე ვანთივარ სულით. რად ახვევია ჩემს არსებას ეს სანუთრო ნისლივით მღვრიე.

ეს ყოველივე რატომ ხდება ან რაც არ ხდება, რატომ არ ხდება. სულს ვინ მიწენავს, ვისი გონით გონივრობს გონი.

ვისი ხელია, მიწას რომ თხრის და თავისივე ძვლებს ასამარებს.

მე მესმის შენი იდუმალი ამოძახილი:

– გაჩუმდიო! – რომ ამომძახი.

– ღმერთის ნებაა!

იყო ნება ღვთისა და არარისგან იქნა რაობა.

იყო ნება ღვთისა და რაობა იქცა არარაობად.

შეეთვისა და განეთვისა:

ცეცხლი ჰაერს, ჰაერი წყალს, წყალი მიწას...

იშვა ყოველი სახიერი ღვთის არსებაში...

დავიბადე!

აჰა, მოვედი ზენაარო შენს საუფლოში:

– სად ვინა ხართ, გამოიხედეთ!

მე არავინ შემეხმინა და ვიდრე გონების თვალს აღმიხედლი, ვტკებობდი შენით.

ჩემი სხეული შენით აღივსო და მეც ისევე დამემართა, როგორც უცხო ადგილზე მოხვედრილ დამშეულ მგზავრს ემართება – რომ მოისვენებს, ხორცს განიძღებს, მერეღა ძიობს მისი სული გულუხვ მასპინძელს.

მე შენ გეძებდი.

გეძებდი მანამ, სანამ შენ თვითონ არ ჩამოწვდი ჩემს გულ-გონებას:

– ყველაფერი ღვთის წილია და ყველაფერში ღმერთი სულდგმულობს.

შენც ხომ ღვთის წილი ხარ, დედამინავ!

შენი სხეული ჩემს სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ ჩემს ძვლებს შენ გაბარებ სიკვდილის მერე.

მე სანთელს ვგავარ, შენს ბეჭებზე ორი ფერის ტაბლაზე ვიწვი: დღისით და ღამით.

უფლის განგებით სავსე არის ორივე ტაბლა:

ღამე სიზმრებით, ხოლო დღისით სახიერი ცხადი ხილვებით.

ჩამოდგა ჩემი დღის ტაბლაზე ჩაქრობის ჟამი.

ღამის ტაბლაზე მოსალხენად მიდის უფალი.

მე ვიღვენთები და შემოქმედს წყვდიადს ვუნათებ, რომ დღის ტაბლიდან სახიერი სიზმრულში გადაიტანოს...

და სული ჩემი ჰგავს ქარბორბალას, ტრიალებს ჩემში და რაც მოაქვს, მიაქვს ისევე.

შენი სხეული ჩემს სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ ჩემს ძვლებს შენ გაბარებ სიკვდილის მერე.

როცა ჩემს თვალებს ცის ნათელი დაეკარგებათ, როცა ჩამოვლევ ჩემს წილ სანუთროს, როცა ჩემს მუხლებს შენზე დგომა არ შეეძლება, როცა ჩავქრები, სამძღორს იქით რომ გარდავხდები, გაიხსენი, გაიხსენი ეგ საკინძე და მიმიღე მე.

მიმიღე და შემინახე, შენ ხომ დედასავით გულუხვი ხარ, დედაჩემის გულიც ხომ შენთან არის, დედაჩემის მუხლებიც ხომ შენს უბეში აწყვია. მეც მანდ მამყოფე, მაგრძნობინე მაგ გულის ფეთქვა...

გაიხსენი და მძივებით ჩაიკრიფე მაგ უბეში ჩემი ძოღმანი.

მე რომ ჩამომძახებენ:

– მინა ხარ და მინად იქეც!

– მინა ხარ და მინად იქეც!

აი, ეგ სიტყვები დაიჭირე, შიგ ჩემი ძვლები გამოხვიე და შემინახე, რომ არ დაგეკარგო. გამომალიქისთავე, რომ შემდეგ, როცა დაგჭირდე, ადვილად გაიმომხსნა.

შემინახე, დედაო მინავ!



სპორტი

ძიუდო ყვარლის სკოლებში



ქართული ძიუდო კიდევ ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ნოვაციას ებმება, რომელიც უკვე მჭიდროდ იქნება დაკავშირებული საჯარო სკოლებთან და მოსწავლეებთან. სანაყის ეტაპზე – მხოლოდ ყვარლის რაიონში, თუმცა იმედა, მომავალში მთელ ქვეყანასაც მოიცავს. ყოველ შემთხვევაში, ძიუდოსთვის ტრადიციულ რეგიონებს მაინც. ესაა ძიუდოს ევროპული ფედერაციის პროექტი „ძიუდოს გაკ-

ვეთილები სკოლაში“, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო და უკვე განხორციელდა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში. სასიხარულოა, რომ მათ რიგებს საქართველოც შეუერთდება, რისი ინიციატორიც საქართველოს ძიუდოს ფედერაციაა, რომელმაც კონსულტაციები ცალკე განათლებისა და მეცნიერების, ცალკე კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებთან გაიარა. მათი თანადგომით, 29-30 ივლისს, აღნიშნულ თემაზე ყვარელში ჩატარდა ორდღიანი სემინარი, სადაც მონაწილეები იყვნენ ცნობილი ინსტრუქტორები, იაპონელი **ჰიროში კატანიში** და ფრანგი **პატრიკ რუქსი**, რომლებიც მწვრთნელთა საუკეთესო ათეულში შედიან. პირველ დღეს სტუმრებმა მასპინძლებს აუხსნეს აღნიშნული პროგრამის მნიშვნელობა, წარუდგინეს ლიტერატურა, აჩვენეს პრაქტიკული სამუშაოები და ვიდეოგაკვეთილები, ამ ყველაფერმა კი დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მეორე დღე უკვე პროფესიონალ მწვრთნელებთან თეორიულ-პრაქტიკულ მუშაობას დაეთმო, რომელშიც არა მხოლოდ ყვარლის რაიონის, არამედ მთელი საქართველოდან მიწვეული მწვრთნელები მონა-

ნილებდნენ. ძიუდოს ფედერაცია სამომავლოდ კვლავაც გეგმავს ანალოგიურ სემინარებს ორივე მიმართულებით. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ძიუდოს, როგორც სასკოლო საგნის, სწავლებას 8-11 წლის მოზარდებს შორის. საქსპერიმენტოდ ყვარლის რაიონი იმიტომ შეირჩა, რომ მისი გამგებელი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი **დავით ქვეციშვილია**. საპილოტე პროგრამა რაიონის 13 სკოლაში ახალ სასწავლო წელთან ერთად უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ქვეციშვილის ინიციატივით, ცოტა ხნით გადაინია. ეს საორგანიზაციო მოსაზრებებით გაკეთდა – მას სურს, პროექტი რაც შეიძლება, კარგად იყოს ორგანიზებული. ამიტომ გადაწყვიტა, ჯერ ტატამები შემოიტანოს იმ 13 სკოლისთვის, პარალელურად კი, ათარგმნინა ძიუდოს სახელმძღვანელო ნიგნი ბავშვებისთვის, რომელიც უკვე გააგზავნა ძიუდოს ევროპულ ფედერაციაში დასაბეჭდად. ტატამებზე 30 სექტემბერს უკვე გამოცხადდა ტენდერი და, დაახლოებით თვენახევარში, უნდა შეიტანონ სკოლებში. იმავე პერიოდში ელოდებიან ნიგნის ჩამოსვლასაც, ანუ ორივე

ერთად გადაეცემათ ბავშვებს. ყველა სკოლას აქვს დარბაზი. მით უფრო, რომ აქ დიდ ფართზე არაა ლაპარაკი – დაახლოებით 20 კვადრატზე, რაც ამ ტატამებს დასჭირდება. რაც შეეხება მასწავლებლებს, თავიდან განზრახული იყო, რომ გამოეყენებინათ საჯარო სკოლების სპორტის ყველა მასწავლებელი, ვინც კი ამის სურვილს გამოთქვამდა (სემინარის პირველი დღეც საამისოდ მათ მომზადებას ითვალისწინებდა), მაგრამ ქვეციშვილის სურვილია, ძიუდოს და სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე (აქ ხომ ყველა ნიუანსი თავიდან უნდა იხსნა და რამე თუ არასწორად აითვისეს, მის გამოსწორებას გაცილებით მეტი დრო დასჭირდება) მხოლოდ ყოფილი ძიუდოსტები დაასაქმონ. დანარჩენებს იმ შემთხვევაში დაიხმარენ, თუ აღნიშნული კონტინგენტი საკმარისი არ იქნება, ოღონდ კადრებს დიდი გაცხრილვის შემდეგ შეარჩევენ. ყვარელში ამ პროექტის წარმატებაზე დიდად იქნება დამოკიდებული მისი განვითარება მთელ ქვეყანაში, ეს კი ძიუდოს ისედაც მაღალი პოპულარიზაციისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

ტალახაძის ტრიუმფი

ახალგაზრდა საჩხერელ ძალოსან **ლაშა ტალახაძისთვის** (+105) წლებიანი სეზონი ფრიად წარმატებულია, დუბლი გაახერხა – გაზაფხულზე 20-წლამდელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, წინა კვირას კი ტალინში ტრიუმფით გაიმარჯვა ევროპის პირველობაზე. თუმცა რაც მან იქ გააკეთა, იქნებ ტრიუმფზე მეტია – 19 წლის ბიჭი როცა ერთი წლით უფროსებს ტოლს არ უდებს და ამარცხებს, ეს უკვე თავისთავად მნიშვნელოვანი ამბავია, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ლაშამ უბრალოდ კი არ მოუგო კონკურენტებს, ცალი ხელით დაიფრინა ისინი, რადგან საჩემპიონოდ მხოლოდ ორ-ორი ცდა იკმარა და როგორც აკვრაში, ისე ატაცებში, ბოლო ცდები არც გამოიყენა. ამის მიუხედავად, მაინც კოლოსალური უპირატესობით აჯობა მათ – ორჭიდის ჯამში უახლოეს მდევარს მთელი 40 კილოგრამით გაუსწრო! ერთ ტურნირში სამი ოქრო – ორი მცირე და ერთი დიდი – გამორჩეული წარმატებაა. ტალახაძემ ჯერ კიდევ ზაფხულში, საქართველოს ჩემპიონატში აიტაცა 197 კილოგრამ-

მი, ტალინში კი ამ მაჩვენებელს ვერაფერს მიუახლოვდა – კონკურენტთაგან საუკეთესო რუსმა **კარენ მარტიროსიანმა** 175-ით დაასრულა გამოსვლა, მეორეზე მცირეა პოლონელმა **ბარტომ ლოზინსკიმ** კი სულაც 162 აიტაცა. ამათ ფონზე ტალახაძემ პირველ ცდაზე უპრობლემოდ დაიმორჩილა 182 კილოგრამი, არც მეორეზე გასჭირვებია 190-ის ანევა (არადა, სხვაობა ამ ორ წონას შორის საკმაოდ მკვეთრია) და იმხელა უპირატესობა მიიღო, რომ საკუთარ რეკორდზე არც წასულა და მესამე ცდა საერთოდ იუარა. ჩვენებურს არც აკვრაში შეურცხვენია თავი. აქ მარტიროსიანმა 200 კილოგრამით დაასრულა გამოსვლა, ლაშამ კი პირველ ცდაზე 210, ხოლო მეორეზე 225 აპკრა და მესამე ცდაზე არც ამჯერად დაჯაფულა. საბოლოოდ მან ორჭიდაში 415 ქულით გაიმარჯვა. ტალინში ჩვენმა ნაკრებმა კიდევ ორი ვერცხლი და გუნდური მესამე ადგილი მოიპოვა, რომელსაც **შოთა მიშველიძე** (69) და **გიორგი ლომთაძე** (77) დაეუფლნენ.



ასე დაახასიათა ძიუდოს ევროპული ფედერაციის საიტმა ჩვენების გამოსვლა ბოსნიურ სარაევოში, ახალგაზრდა ძიუდოსტთა ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღეს. სათქმელიც ჰქონდათ – წინა ორ დღეს ჩვენებმა მხოლოდ

ერთი ვერცხლი მოიპოვეს, ბოლო დღეს კი სამივე წონის ფინალში გვყავდა მონაწილე; ამ სამიდან ორში ოქროც მოვიპოვეთ, მთლიანობაში კი 6-დან 4-მა სპორტსმენმა მედალი მოიპოვა! მთლიანობაში, სარაევოში ჩვენმა ნაკ-

ქართველების საფინალო სპრინტი

რებმა 5 ჯილდო დაიმსახურა – 2-2 ოქროვერცხლი და 1 – ბრინჯაო. ევროპის ჩემპიონები **ბექა ღვინიაშვილი** (90) და **გურამ თუშიშვილი** (100) გახდნენ, **ლევან გუგავა** (73) და **ლევან მატიაშვილი** (+100) მეორეზე გავიდნენ, **გიორგი ზაქარიაძე** (+100) – მესამეზე. ჩვენმა ნაკრებმა ბიჭებს შორის გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა, საერთოში კი (სადაც გოგონების შედეგებიც შედის) მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ. განსაკუთრებით იყოჩაღეს ჩემპიონებმა – ღვინიაშვილმა და თუშიშვილმა, რომლებმაც ყველა შეხვედრა წმინდად, იპონით მოიგეს, თუმცა ასამზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა გარემოება – ორივე ახალი გადმოსულია ტაბუკთა ნაკრებიდან, ბოსნიაში 3-4 წლით უფროსებთან უწევდათ პაექრობა. მათ შორის ბევრი უფროსებში საკმაოდ გამოცდილია და გარკვეული წარმატებებიც მოუპოვებიათ. ამის მიუხედავად, ჩვენებმა არაფერი დაუთმეს. პირიქით – აშკარად დაჯაბნეს ყველა კონკურენტი და საკუთარი ნიჭით კიდევ ერთხელ გააოცეს ევროპა. დასაწყისი იყო მტე-

აშვილის ნაგება, რომელმაც ამ ზაფხულს მოსკოვურ „დიდ მუზარადზე“ ბრავილიელი ოლიმპიური პრიზიორი **რაფაელ სილვა** ისე დაანარცხა ტატამს, ტრავმაც მიაღებინა. სამწუხაროდ, ამჯერად ფინალში ვერაფერს გახდა და ერთი პატარა შეცდომა ნაგებად დაუჯდა. არადა, ძალზე ახლოს იყო შარშან მოპოვებული ევროპის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებასთან. კარგად გამოვიდნენ ზაქარიაძე და გუგავაც, რომელიც ასევე ახალი გადმოსულია ტაბუკებიდან, თუმცა უმელოდ არც იქ დაუტოვებია არც ერთი ოფიციალური შეჯიბრება და ახალგაზრდებშიც აგრძელებს ამ ტრადიციას. ერთი ეგაა, ჯერ ოქრო ვერ მოიპოვა. ახლა ახალგაზრდებს თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატი ელოდებათ და, იმედა, არც იქ შეირცხვენენ თავს, თუმცა ევროპაზე გამოსვლით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ქართულ ძიუდოს კარგი მომავალი ეზრდება.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაიძე

